№ 1—2 1883—1897 1—30 იანვარი

მწყემსი

ოფიციალური გაანყოფილება.

უმაღლესი „წყალობის წერილი“

ხელმწიფე იმპერატორიცის მარიამ თეოდორეს ასულისა, მოცემული პეტერბურღის და ლადოგის მიტროპოლიტის ყოვლად სამღვდელო პალლადის სახელობაზედ.

ყოვლად-სამღვდელო პალლადი, პეტერბურღის მიტროპოლიტო!

მე დ ვრწმუნდი, რომ წარჩინებულად სწარმოებს სალმრთო რჯულის სწავლება „იმპერატრიცის მარიამის“ დაწესებულებათა უწყების სასწავლებლებში; ასეთი მდგომარეობა სალმრთო სჯულისა სრულიად ეთანხმება ჩემს შეხედულებათა ქალთა აღზრდის საფუძვლებზედ; ამასთანავე მოვიხსენიებ რა იმ მხერვალე მონაწილეობას, რომელსაც თქვენ, პეტერბურღის სამღვდელმთავრო კათედრაზედ მოწოდების დღიდამ, პირადად იღებდით ჩემის გულისთვის ძვირფასის უწყების სატახტო ქალაქის ინსტიტუტების და გიმნაზიების სალმრთო სჯულის მასწავლებელთა პირდაპირს ხელმძღვანელობაში, ჩემთვის სასიამოვნო ვალად ვსთვლი გამოგიცხადოთ თქვენ თქვენ მიერ გაწეულ შრომათათვის წრფელი ჩემი მადლობა, რომლის ნიშნად დაე იყოს ამასთანავე ჩემ მიერ თქვენდამი წარმოგზავნილი კვერთხი*).

მივანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, ვიმყოფები შეუცვლელად თქვენთვის კეთილის მოსურნე.

ნამდვილსა ზედა „საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის“ ხელით დაწერილ არს:

„მარიამი“

ნოემბრის 12 დღესა 1896 წელსა.

*) ამ უმაღლესს წყალობის წერილთან გაგზავნილ იქმნა საჩუქრად კვერთხი.

უუწმიდესი სინოდის გადაწყვეტილება.

უუწმიდესის სინოდის გადაწყვეტილებით, 7—10 ნოემბრიდან 1896 წლისა მე-3698 ნომრით, ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ლეონიდი დანიშნულ არს საქართველო-იმერეთის სინოდალურის კანტორის შტატის წევრ დ.

მიე მადალ-ყოვლად უსამღვდელოესობის, მადალ ყოვლად-სამღვდელო საქართველოს ექსარხოსის ვლადიმერის მიერ 2 ღვინობისთვიდამ წარსულის 1896 წლისა დამტკიცებულ არიან საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის შკოლების სამაზრო მეთვალყურეთა თანამდებობაზედ შემდეგნი სასულიერო პირნი, აღმოჩრეულნი ქართლ-კახეთ-ს საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს მიერ საეპარქიო მეთვალყურის მონაწილეობით: 1, თბილ-სის სიონის საკრებულო ტაძრის მღვდელი ანტონი თოთიბაძე—თბილისისა და ბორჩალოს მაზრებისთვის; 2, ახალციხე—ახალქალაქის ოლქის ბლაღოჩინი, დეკანოზი დიმიტრი ხახუტაშვილი—ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებისთვის; 3, მოხისის ეკლესიის მღვდელი ბენიამენ კონტრიძე—გორისა და დუშეთის მაზრებისთვის; 4, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერთან არსებულის საქალებო სასწავლებლის სალმრთო სჯულის მასწავლებელი იოსებ მირიანაშვილი—სიღნაღის მაზრისა და ზაქათალას ოლქისთვის; 5, კურდღელაურის ეკელესიის მღვდელი ნიკოლოზ ჯაჯანიძე—თელავისა და თიონეთის მაზრებისთვის, 6, ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოის ბაქოს სამაზრო განყოფილების თავს-მჯდომარე ბაქოს წმ. ნიკოლოზის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, ბლაღოჩინი, დეკანოზი ალექსანდრე

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუნიცკი—ბაქოს გუბერნიისთვის, 7, ერევნის ღვთის-მშობლის საფარვლის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი ვიქტორ სანადსკი—ერევნის გუბერნიისთვის; 8, განჯის გუბერნიის ეკლესიების ბლაღოჩინი, ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს განჯის განყოფილების თავმჯდომარე, წინამძღვარი განჯის წმ. ალექსანდრე ნეველის საკრებულო ტაძრისა, დეკანოზი მიხეილ მძინარაშვილი—განჯის გუბერნიისთვის და 9, ყარსის თემის პირველის ოლქის ბლაღოჩინი, ყარსის საკრებულო ტაძრის წინამძღვარი იოანნე ნაზაროვი—ყარსის თემისთვის.

სამაზრო მეთვალყურეებად საქართველოს საეკსარხოსოს სხვა ეპარქიებში დანიშნულ არიან: იმერეთისაში: ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მეორე მღვდელი ტიმოთე კაპანაძე—ქუთაისის მაზრაში; გურია-სამეგრელოსაში: 1, მარტვილის ოლქის ბლაღოჩინი, მღვდელი კაპიტონ გაწერელია—სენაკის მაზრაში; 2, მუხურის ოლქის ბლაღოჩინი, მღვდელი ევგენი შენგელაია—ზუგდიდის მაზრაში და 3, გონების კარის სამრევლოს მღვდელი სოლომონ ანდღულაძე—ოზურგეთის მაზრაში; სოხუმის ეპარქიაში: მეორე ოქუმ-ს სამრევლოს მღვდელი იოანნე ქავთარაძე—სოხუმის ოლქში და დახოვსკის (სოჩის) მცირე ქალაქის სამრევლოს მღვდელი ალექსანდრე ილინსკი—ჩერნომორსკის გუბერნიაში.

სია ქადაგებათა, რომელნიც უნდა წარმოითქვან თორმეტ საუფლო, დიდ დღესასწაულ და ვვირა დღეებში ქუთაისის საკრებულო ტაძარში 1897 წელს.

რიცხვი თვისა.	სახელწოდება დღესასწაულთა,	სახელი და გვარი მქადაგებელთა.
	ი ა ნ ვ ა რ ი	
1	ახალ წელს	ინსპექტორი სემინარიისა ბერ-მონაზონი ბენიამენი.
5	კვირიაკესა წინეთ ნათლისღებისა . .	მღვდ. იოსებ ჭირაქაძე.
6	ღვთის განცხადებას . .	ბერ-მონაზონი ალიპი.
12	კვირიაკესა შემდეგ ნათლისღებისა . .	მღვ. მელიტონ ცაგერეიშვილი.
14	წმ. მოციქულთ-სწორის ნინო ქართველთ განმანათლებელის დღეს . .	
19	კვირიაკესა ლვ-სა მეერგასიდან .	მღვდ. ალექსი გიორგაძე.
26	კვირიაკესა ლზ-სა „ . . .	დეკ. ოქროპირ კაჭახიძე.
	თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი	
2	კვირიაკესა მეზვერისა და ფარისევლისა . .	მღვდ. ნესტორ ყუბანეიშვილი.
9	კვირიაკესა უძღების შვილისა . .	მღვდ. იოანნე შავლაძე.
16	კვირიაკესა ხორცთაკრებისა . .	დეკ. რაჟდენ გიგაუროვი.
23	ყველიერის კვირიაკესა . . .	დეკ. იოსებ ჭეიშვილი.
	მ ა რ ტ ი.	
2	მართლ-მადიდებელთა კვირიაკესა . .	კათ. დეკ. გაბ. ცაგარეიშვილი.
9	მეორე დიდმარხვის კვირიაკეს . .	მღვ. მელიტონ კელენჯერიძე.
16	მესამე „ „ ჯვარის თაყვანისმცემ.	მღვდელი ნესტორ შვანგირაძე.
23	მეოთხე დიდმარხვის კვირიაკეს . .	დეკ. იოსებ კიკაჩეიშვილი.
25	ხარებას	მღვდელი ვასილ დოლაბერიძე.
30	მეხუთე დიდმარხვის კვირიაკეს . .	მღვდელი ტიმოთე კაპანაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი თვისა.	სახელწოდება დღესასწაულთა	სახელი და გვარი მქადაგებელთა.
	ა ვ რ ი ლ ი	
6	ბზობის კვირას (ლანგრით ფულის შეკრება პალესტინის საზოგადოების სასარგებლოდ .	მღვდელი ნესტორ გიორგაძე.
10	დიდ ხუთშაბათს . . .	მღვდელი ფილიპე ფხაკაძე.
11	დიდ პარასკევს	კათ. დეკ. გაბ. ცაგერეიშვილი.
20	თომას კვირას	მღვდელი ნიკოლოზ ხუციევი.
23	სახელწოდება მისი იმპერატ. უდიდებულეს. ხელმწ. იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორე ასულისა.	მღვდ. იოანნე ტუგარინოვი.
27	კვირიაკე მენელსაცხებელთა და დაბადება მისი იმპერატორებითი უღბულესლეს. დიდის მთავრის მემკვიდრე ცესარ. გიორგი ალექსანდრეს ძისა.	ინსპექტორი სემინარიისა ბერ-მონაზონი ბენიამენი.
	მ ა ი ს ი,	
4	კვირიაკესა განრღვეულისასა . . .	მღვდელი იოსებ ჩირაკაძე.
6	დაბადება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა	მამა რექტორი სემინარიისა.
11	სამარიტელის კვირიაკეს . . .	მღვდელი ალექსი გიორგაძე.
14	მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის და ხელმწ. იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულის წმ. გვირგვინოსნების დღეს .	კათედრის დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი.
18	ბრმის კვირიაკეს (ლანგრით ფულის შეკრება ბრმათა სასარგებლოდ) . . .	მღვდ. ნესტორ ყუბანეიშვილი.
22	ამაღლების დღეს . . .	დეკ. ოქროპირ კაჭახიძე.
25	კვირიაკე წმ. მამათა ნიკეველთა და დაბადება მისი იმპერატორებითას უდიდებლესობის ხელმწიფა იმპერატ. ალქსანდრა თეოდორეს ასულისა .	ბერ-მონაზონი ალიპი.
	ი ვ ნ ი ს ი.	
1	მეერგასე	მღვდ. ვასილ დოლაბერიძე.
8	ყოველთა წმიდათა პირველ მეერგასის კვირას .	მღვდელი ნესტორ გიორგაძე.
15	მეერგასის მეორე კვირას . . .	მღვდელი ტიმოთე გიორგაძე.
22	„ მესამე კვირიაკეს . . .	მღვდელი ტიმოთე კაპანაძე.
29	„ მეოთხე » და ხსენება წმ. მთავარ-მოციქულთა პეტრესა და პავლესა . .	მღვდელი ნიკოლოზ ხუციევი.
	ი ვ ლ ი ს ი	
6	მეხუთე მეერგასის კვირიაკეს. . .	მღვდელი ფილიპე ფხაკაძე.
13	მეექვსე » » . . .	დეკ. რაჟდენ გიგაუროვი.
20	მეშვიდე » » . . .	მღვდელი ნესტორ შვანგირაძე.
22	სახელწოდება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა . . .	მღვდელი იურასოვი.
27	მერვე მეერგასის კვირიაკეს . . .	მღვდ. მელიტონ კელენჯერიძე.
	ა გ ვ ი ს ტ ი	
3	მეცხრე მეერგასის კვირიაკეს . . .	დეკანოზი იოსებ ჭეიშვილი.
6	უფლის ფერისცვალებას . . .	დეკ. იოსებ კიკაჩეიშვილი.
10	მეათე მეერგასის კვირიაკეს . . .	მღვდელი ტიმოთე გიორგაძე
15	ღვთის-მშობლის მიძინებას . . .	მღვდელი იოსებ ჩირაკაძე.

76/3

რიცხვი თვისა.	სახელწოდება დღესასწაულთა	სახელი და გვარი მქადაგებელთა.
17	მეთერთმეტე მეერგასის კვირიაკეს . .	მღვ. მელიტონ ცაგარეიშვილი
24	მეთორმეტე „ „ . .	მღვდელი ალექსი გიორგაძე
29	იოანნე ნათლისმცემლის თავისკვეთას . .	მღვდელი იოანე შავლაძე
30	წმ. კეთილმორწმუნე დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველის წმ. ნაწილთა გადასვენების დღეს .	დეკანოზი ჟანდიევი
	სექტემბერი	
7	ჯვართ ამაღლების წინა კვირიაკესა . .	მღვდ. ვასილ დოლაბერიძე
8	ღვთის-მშობლის დაბადების დღეს . . .	მღვდ. ნესტორ გიორგაძე
14	ჯვართ ამაღლების დღეს . . .	მღვდ. ტიმოთე კაპანაძე
21	ჯვართ ამაღლების კვირიაკის შემდეგ . .	მღვდ. ნიკოლოზ ხუციევი
28	მეერგასის მეჩვიდმეტე კვირიაკეს . .	მღვდ. ნესტორ ყუბანეიშვილი
	ოქტომბერი	
2	ხსენება წმ. არგვეთის მთავართა დავით და კონსტ.	მღვ. მელიტონ კელენჯერიძე
5	მეერგასის 18-ტე კვირიაკეს . . .	მღვდელი ფილიპე ფხაკაძე
12	„ 19-ტე „ . . .	დეკ. რაჟდენ გიგაურავი
17	უავგუსტოესი სახლეულობის სასწაულებრივი გარდარჩენის დღეს . .	მღვდ. კონსტ. რუდნევი
19	მეერგასის მეოცე კვირიაკეს . . .	მღვდ. მელიტონ კელენჯერიძე
26	„ 21-თე „ . . .	მღვდ. ნესტორ შვანგირაძე
	ნოემბერი	
2	მეერგასის 22-რე კვირიაკეს. . .	დეკანოზი იოსებ ჭეიშვილი
9	„ 23-მე „ . . .	დეკანოზი იოსებ კიკაჩეიშვილი
14	დაბადება მისი იმპერატ. უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა .	მღვდელი კონსტ. რუდნიევი
16	მეერგასის 24-ხე კვირიაკეს. . .	მღვდ. იოსებ ჩირაკაძე
21	ღვთის-მშობლის ტაძრად მიყვანების დღეს .	მღვ. მელიტონ ცაგარეიშვილი
23	მეერგასის 25-თე კვირიაკეს . . .	მღვდ. ალექსი გიორგაძე
26	სახელწოდება მისი იმპერატორებითი უდიდებულეს. მემკვიდრისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა ბიორგი ალექსანდრეს ძისა . .	მღვდელ-მონაზონი ალიპი
30	მეერგასის 26-სე კვირიაკეს . . .	მღვდ. იოანნე შავლაძე
	დეკემბერი	
6	სახელწოდება მისი იმპერატორებითი უდიდებულეს. კეთილმორწ. ხელმწ. ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა	მღვდ. იოანნე ტუგარინოვი
7	მეერგასის 27-დე კვირიაკეს . . .	დეკ. ოქროპირ კაჭახიძე
14	წმ. მამათა კვირიაკეს . . .	მღვდ. ნესტორ გიორგაძე
21	ქრისტეს შობის წინა კვირიაკეს . . .	მღვდ. ვასილ დოლაბერიძე
25	ქრისტეს შობის დღეს . . .	მამა ინსპექტორი სემინარიისა
28	ქრისტეს შობის შემდეგ კვირიაკეს . .	მღვდელი ტიმოთე კაპანაძე

მოულოდნელ შემთხვევებში დაინიშნებიან . . რექტორი სემინარიისა და კათედრის დეკ. გ. ცაგარეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10 – 11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 1—2 1883—1897 1—30 იანვარი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვით	3 მან.	12 თვით	5 მან.
6 —	2 —	6 —	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Кутаисъ, въ редакцію „Мцхеми“ и „Пастыря“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც დ თარგმნით დაიბეჭდებიან.

მკითხველს.

ბოგილოცავ, ძვირფასო მკითხველო, ახალ წელს. ახალი წლის დადგომა ბევრის გულში სხვა და სხვანაირ სიხარულს ჰბადავს. მაგრამ ის, რაც სხვის გულში სიხარულს ჰბადავს, ჩვენთვის სრულებით სასიხარულო არ არის. ახალ წელში ზოგი გამდიდრებას მოელის, ზოგი კარგ ჯამაგირიან ადგილს, ზოგი ჯილდოს, ზოგი დიდი კაცის და ბატონის წყალობას, ზოგი დიდ მზითვიან ქალის შერთვას და ზოგი კიდე რას არ მოელის, ვინ მოსთვლის ყველას. მაგრამ ყველა მოტყუებული რჩება, ვინაიდგან ბედნიერი და ტკბილი ცხოვრება არც ფულზე, არც სიმდიდრეზე, არც დიდ ადგილზე, არც ჯილდოზე, არც დიდ მზითვზე და არც სხვა რამე ამისთანა ამაოებაზე არ არის დამო-

კიდებული. კაცის დანიშნულება ამ ქვეყანაზე სულ სხვაში მდგომარეობს და ნეტავი მას, ვისაც თავის დანიშნულების მიზანი შეუმცნია და აუსრულებია. უნდა იცოდეს ყველამ, რომ კაცის დანიშნულება ამ ქვეყანაზედ განსაკუთრებით ქრისტიანეოათვის ძლიერ ადვილი შესატეობია და არც ისე ძნელი ასასრულებელი არის, როგორც ზოგიერთთ წარმოუდგენიათ.

ეოველი ახალი წლის დადგომა ჩვენშიაც ბადავს სიხარულს, მაგრამ ეს სიხარული დაფუძნებულია სულ სხვა გარემოებაზე. იცით, მკითხველო, რა ახარებს ჩვენს გულს ეოველ ახალი წლის დამდეგს? თქვენთან კავშირის განუწყვეტლობა, გადის აგერ თუთხმეტი წელიწადი, რაც მე და თქვენ შორის დამკვიდრებულია კავშირი გაზეთის საშუალებით და ერთად ვსაუბრობთ, ერთად ვფიქრობთ, ერთად ვსჯით, ერთად ვსარობთ და ერთად ვწუხვართ. ერთიმეორის ბედსა და უბედობას ვტეობილობთ და გაჭირვების დროს ერთიერთმანეთს ხელს ვუწვდით. აი ეს არის ჩვენთვის დიდათ სასიხარულო და სანატრელი, არის ხოლმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ზოგიერთი მკითხველები კავშირს წყვეტენ ჩვენთან, მაგრამ ამისთანათა რიცხვი არის ძლიერ მცირე და შეუმჩნეველი, მაგრამ მათ მაგიერ ერთი ორათ მეტი ეანამოაზრე და მკითხველი გვემატება. ასეთია საზოგადოდ ბუნების კანონიც. რამდენიც კვდება ქვეყანაზე, ორი იმდენი იბადება.

ასე, ჩვენო ძვირფასო მკითხველო! ვითხოვოთ ღვთისაგან საზოგადოთ ყველამ, რომ ბედნიერი იქნეს ეს ახალი წელი, მოგვანიჭოს უფალმან ერთობა, ძმობა, ქრისტიანობრივი სიყვარული, ცხოველი და მტკიცე სარწმუნოება და კეთილზნეობა. დაგვიფაროს ჭირთა და იწროებათაგან, უცხო თესლთა ზედამოსვლისაგან და ბრძოლათაგან. დაბადოს ჩვენ შორის სიყვარული და მოსპოს ურთიერთშორის მტრობა, გაუტანლობა და შური.

პირველად თქვენდამი არს ჩვენი სიტყვა, ჩვენო მოძმენო! დიდი გამჭრიახობა, დიდი შრომა და მოფიქრება არის საჭირო ჯეროვანად ჩვენ სამწყსოთა დამწყვსისათვის, რომ არ ვიქმნეთ სასტიკად დასჯილნი საუკუნოსა მას ცხოვრებასა შინა ჩვენი დაუდევნელობისათვის. მრავალი ითხოვება ჩვენიდგან და მრავალთაგან მცირე მაინც ავასრულოთ!..

მეორეთ მოვიქცევი თქვენდამი, სამწყსონო! თქვენც უნდა ეოველივე ღონისძიებას ხმარობდეთ კეთილცხოვრებისა და ქრისტიანული ჭეშმარიტის სარწმუნოების დასამტკიცებლათ თქვენ შორის. ნიადაგ ერთგულებას უნდა იჩენდეთ სწავლისა და სიტყვა-მოძღვრების სმენაში, ყველანი ვიღვიძებდეთ გონებით და ჭბაძავდეთ სხვა ხალხთა, რომელნიც ასე დაწინაურებულან თქვენზედ. დრო განვიღვიძოთ ღრმა ძილისაგან და გამოვფხიზლდეთ, რომ სამუდამოდ არ ჩამოვრჩეთ ყველას უკან.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

„მწყემსი“-ს კორრესპონდენცია

სოფელ მამათიდგან

(ოზურგეთის მაზრაშია).

დღეს, თითქმის, ყველგან ცდილობენ, რომ სოფლად სახალხო სამკითხველოები დაარსონ, მაგრამ, საუბედურობ, ჩვენ სოფელს არა ჰყავს ისეთი კაცი, რომელმაც ამ კეთილი საქმის განხორციელება ურჩიოს საზოგადოებას. ამ გონებითი დაქვეითებას გარდა ერთი სენი კიდევ სჭირს ჩვენ სოფელს: ვგონებ არც ერთ სოფელში არ იქნეს იმდენი «მარჩიელ-მკითხავები» და ამ ვაჟბატონთა მოძღვრების მიმდევარნი, რამდენიც აქ არის. და რა არის ამის უმთავრესი მიზეზი? რასაკვირველია ის, რომ ჯერ კიდევ ვერ გაუდგამს ფესვი ქრისტეს მოძღვრებას ხალხში. ხოლო ამის ბრალი ედებათ მათ, რომელთაც მინიჭებული აქვთ ღვთისაგანაც და კაცისაგანაც ხალხის მწყსვა, ხალხისთვის ჭეშმარიტების ქადაგება. იგინი, მწყემსნი, უნდა იყვენ აღჭურვილნი ნამდვილი ჭეშმარიტი აზრებით ფ გრძნობებით, ესენი გაბედულად უნდა ებრძოდენ უსამართლობას, ცრუ-მორწმუნეობას, შურს, არავითარ ცილისწამებას, მტრობას და სიმართლისთვის დევნას ისინი არ უნდა შეეშინდენ, რადგანაც «ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათვის». ერთის სიტყვით, მღვდლები უნდა ებრძოდენ ყოველივე იმას, რაიცა აფერხებს და უშლის ხელს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას....

ამას წინათ ერთმა უმაწვილმა განიზრახა სოფელ ძიმითის სამინისტრო სკოლასთან სამკითხველოს დაარსება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განზრახვა სხვადასხვა მიზეზების გამო მხოლოდ განზრახვად დარჩა და საქმის განხორციელებას კი ვერ ვხედავთ. თუმცა ზემოხსენებული სოფელი მამათი კარგა მანძილით შორავს ს. ძიმითს, მაგრამ მაინც აღტაცებით მოველოდით ამ კეთილი საქმის განხორციელებას, რადგანაც არაობას ცალუელი ხარი სჯობიაო, ნათქვამია, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს სოფელი ისე მონდომებულია სამკითხველოს გახსნას, რომ მხოლოდ საქმის დამწყები და გზის მაჩვენებელიღაა საჭიროა...

ეხლა, როგორც გავიგეთ, ერთ პატივცემულ პირს განუზრახავს სოფელ მამათის წმ. მოციქულის იაკობის ეკლესიასთან უფასო სამკითხველოს დაარსება. გულითა და სულით ვისურვებთ, რომ ეს ხმა საქმედ ქცეულიყოს.

სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამ სოფლის მკვიდრნი გულგრილობას არ გამოიჩენენ ამისთანა სასახელო და სასიქადულო საქმეში და თავიანთ წვლილს არ დაზოგვენ ისეთი კეთილი საქმის განხორციელებისათვის, როგორიც არის უფასო სახალხო სამკითხველო.

კმარა ამდენი ძილი, მამათლებო, აწ გავიღვიძოთ საღათას ძილისაგან, საქმეს მოვკიდოთ ხელი და ნუ ჩამოვრჩებით სხვა კუთხის ხალხთ სწავლა განათლების საქმეში, რადგან «სწავლა სინათლეა, ხოლო უსწავლელობა სიბნელე“, სწავლას შეუძლია მოსპოს ჩვენში შური, მტრობა და ამათ ნაცვლად გაავრცელოს ჩვენში კეთილ-განწყობილება, სათნოება და ყოველივე სიკეთე .. იმედია ზემოხსენებული ეკლესიის სულიერი მამები დაეხმარებიან ამ საქმეს და სისრულეში მოიყვანებენ, ამით ისინი თავიანთ მოვალეობასაც ასრულებენ და თანაც სამუდამოდ დაუვიწყარ და ხალხისთვის სასარგებლო საქმეს ჩაიდენენ...

ბართლომე აღექსიძე.

შრომის მოყვარეობის და სამოწყალო სახლის ქუთაისში დაარსების შესახებ.

დასასრული *)

ამ ისტორიულ ცნობებიდგან ჩვენ გადვიდეთ თვითან საგანზედ. მათხოვრების და ტყვილა მაწანწალა ხალხის სიუხვით არც ჩვენი ქ. ქუთაისი ჩამორჩება უკან რუსეთის ქალაქებს. აქაც, როგორც რუსეთში, მკვიდრთა ცოტა ნაწილი არ საჭიროებს თავის დაცემულ მოძმეთა შეხედვაში და მათ ფეხზედ წამოყენებაში. ბევრია ჩვენს ქალაქში ისეთი მაწანწალა მათხოვრები, რომლებსაც სრულებით არა სტკივათ რა, მაგრამ რადგან სირცხვილ-ნამუსი. დაუკარგავსთ და მათხოვრობა ხელობათ გაუხდიათ, არაფრის აღარ რცხვენიათ და ყოველ დღე ნემსივით თვალში გეჩხირებათ. არიან ამ მათხოვრებ შორისაც ისეთნი, რომელნიც ნამდვილ დაცემულნი ფიზიკურ ღონეს მოკლებულნი და სრულებით საწყლები ყრიან ქუჩაში და მოწყალებას თხოულობენ, არიან აგრეთვე ისეთი ქვრივ-ობოლნი, რომლებიც საშინელს სიღარიბეს-სიღარტაკეს იტანენ, მათხოვრობას თაკილობენ, სამოწყალო ხელს არ გიშვერენ, მაგრამ ნამდვილ შესაბრალისნი კი არიან, რადგან არაფერს შრომას არ არიან, მიჩვეულნი და არც იციან რომელი შრომით ისაზრდოვონ თავი. არიან ჩვენში აგრეთვე უპატრონოთ ობლებათ დაყრილნი უსახლკარო ბავშვები, რომლებიც ისეთ ზნე დაცემულ საზოგადოებაში იზრდებიან, რომელიც წარმატების გზის მაგივრათ სატუსაღოსკენ აგზავნიან. მაშასადამე ჩვენს ცხოვრებას ისეთი მომწამლავი სენი შემოსჩვევია,რომელიც, თუ კარგათ არ შევებრძოლეთ, სრულებით გამოჭამს ძირს ჩვენს საზოგადო ცხოვრების მსვლელობას და თავის დამღუპველს დაღს დაასვამს.

დღემდის ნაძლევი ქველ-მოქმედობა ჩვენის საზოგადოების, (მაგალ. თითო ორ-ორი კაპეიკის მიცემა) სრულებით გამოუდეგარი შეიქმნა. ამ გვარი მოწყალების მიცემა ცხრილით წყლის ზიდვას მიემგზავსება. როდესაც ამ გვარად ვქველმოქმედობთ, ამით ჩვენდა შეუმჩნევლად ვაჩვევთ მათხოვრებს სხვისი შრომით საზრდოებას, და თან და თან ვავითარებთ მათში სიზარმაცეს, იმ საშინელს სენს, რომელსაც ბევრი ბოროტ მოქმედების წარმოშობა შეუძლია, მის მაგიერ, რომ მათ ფულები არ ვაძლიოთ, საჭიროა ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულების დაარსება, და ამისთვის შრომა და ღვაწლი. საჭიროა, რომ მათხოვრებმა ტყვილა კი არ იშოვნონ ფულები, არამედ შრომით, თავისი ოფლის ღვრით და მარჯვენით. როდესაც ამ გვარი ჩვეულება დამკვიდრდება ხალხში, მაშინ აღარც ტყვილა მაწანწალობა და მათხოვრობა იქნება ჩვენში. ვინც არ არის მიჩვეული მუშაობას, უნდა მივაჩვიოთ, ვისაც არ სურს მუშაობა, მას საჭიროება თვითან დააყენებს ძალას და ამუშავებს. უმნიშვნელოთ მიცემული ფული რყვნის ადამიანს და ცხოვრების სახსარის მომცემი შრომა კი კეთილშობილურ გავლენას ახდენს მის ზნეობაზედ.

შრომის მოყვარეობის სახლების ქვაკუთხედად სდევს მაცხოვრის უკვდავი სიტყვები: „მშრომელი ღირს არს სასყიდლისა“. მხოლოდ ამ გვარ სახლების დაარსებით შეგვიძლია ჩვენ შევიარაღდეთ და გამოვიდეთ საბრძოლელად ჩვენ ქალაქში დაბადებულს სისაწყლე-სიღარიბესთან, მიზანი ამ სახლებისა იქნება, არა მარტო სამუშევრის მიცემა ამ გაჭირვებულთათვის, არამედ სწავლება რამე ხელობის მათთვის, რომელნიც შესძლებენ სწავლას და ხელობის ცოდნას. თუმცა იმათ შორის ისეთნი მოხვდებიან, რომლებსაც არც შრომა არც ხელობის სწავლა არ შეეძლებათ თავიანთ მოხუცებულობის ანუ ავათმყოფობისა გამო, ისინი, როგორც საზოგადოების პენსიონერები, უნდა სცხოვრებდნენ შრომის მოყვარეთა სახლებთან კერძოთ გახსნილ სამოწყალო სახლებში და საზრდოებდენ სიკვდილის დღემდის. განსაკუთრებითი ჩვენი ყურადღება იმ საცოდავ უპატრონოდ დაყრილ ქუჩის ბავშვებს უნდა მიექცეს, რომლებიც, ვინ იცის, რა ზნეობის ქვეშე იზრდებიან და ვითარდებიან. აი მათი მოქცევა, მათი ქუჩიდგან მოტაცება და რაიმე ხელობის სწავლება არის ერთი უკეთილშობილესი და უღრმესი გრძნობათაგანი საზოგადოებისა ამ საწყლებისადმი. ამ გვარ სახლების დამაარსებელ საზოგადოებას აგრეთვე ექნება მიზნათ თვალყური ადევნოს და იზრუნოს ღარიბთა და გლახაკთა ბინების გაუმჯობესობაზედ, მათ წმიდათ და ფაქიზათ შენახვაზედ. ამ გვარ მათ

* იხილე „მწყემსი“ № 23—24, 1895 წ.

ბინებს დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა შემთხვევაშიდაც. აქ მოწამლული ჰაერით იწამლება და ფუჭდება გარშემო ახლო მახლო ჰაერიც და ამით საზრდოებს შეძლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა. ამ გვარ ოჯახებშიაც, რომ მუდამ ბუდობს სხვა-და-სხვა გადამდები ავათმყოფობანი და აქიდგან მთელ ქალაქს ედება და მუსრს ავლებს. ამ გვარ ოჯახებიდგან გამოსულნი გლახაკნი თავის დაძონძვილ ტანისამოსით და დამუწუკებულ ტანით ავრცელებენ სხვა-დასხვა გვარ გადამდებს სენს მთელს ქალაქში თავიანთ მაწანწალობის დროს. სწორედ ამით უშვებიან ისინი მაგიერობას ანუ შურს ეძიებენ იმ მდიდარ და მაძღარ პირთაგან, რომლებიც მათ ასე გულცივად უყურებენ. საუბედუროდ ამ ჭეშმარიტებას რაღაც გვიან გრძნობს ჩვენი საზოგადოება. სულ სხვას ვხედავთ ინგლისში. ამ მოწინავე ქვეყანაში ეს საქმე ნამდვილ გონიერ გზაზედ დგას და ვითარდება. აქ შემდგარია რამდენიმე ამხანაგობა, რომლის მოვალეობასაც შრომის მოყვარეობის სახლების დაარსება, გლახაკთა და შეუძლებელთა თავ შესაფარ ბინის შოვნა და მოვლა შეადგენს. აქ ვაჭრულ ანგარიშთან შეერთებული კაცთმოყვარეობის სურვილი ხელსაც აძლევსთ დაამარსებლებს და ცოტაოდენს სარგებელს არ აძლევს ამხანაგობაში მონაწილეებს.

თუმც ამ გვარი ამხანაგობების შედგენა და დაარსება ჩვენ ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია, მაგრამ შეძლებისდაგვარად ამ ფრიად სასარგებლო საქმის დასაგვირგვინებლად და განსახორციელებლად, საჭიროა ვიზრუნოთ, რადგან იმით არამც თუ მარტო გლახაკთა ვეხმარებით, არამედ ვიცავთ მთელი ქალაქის მკვიდრთა ტანმრთელობას და კეთილ განწყობილებას. ადმინისტრაცია ამ გვარ სახლებით ყოველთვის მზათ იქნება აცნობოს საზოგადოებას ყველაფერი ზომები შესახებ ამათ არსებობ·სა, რაც მიღებული იქნება მათ გასავითარებლად. ამით კიდევ არ განისაზღვრებოდა მთელი მნიშვნელობა და მიზანი ამ გვარ სახლებისა; ამას სახეში აქვს ბედკრულ ქუთაისის სატუსაღოში შეპყრობილთა მდგომარეობა, მათი ზნეობრივი უთანაგრძნობა, გაუზრდელობა და პატიოსან შრომით ცხოვრების ნაკლულევანებასთან ბრძოლის მოუხერხებლობა. შრომის მოყვარ. სახლი აძლევს მას სამუშაოს, წვრთის მას ზნეობრივ, ასაზრდოებს გონებითად, ამუშავებს მის ხელებს და ჭკუა გონებას, რითაც უკარგავს რაიმე ბოროტებაზედ ფიქრებს და არ აძლევს ღონისძიებას რამე დანაშაურობის ჩადენისას. როდესაც რაიმე დანაშაურობისათვის ადამიანი აიტანს სასჯელს, მაშინ ამ სახლებს შეუძლია მისცეს მას თავშესაფარი თავის კალთებ ქვეშე. საზოგადოებას აქ შეუძლია იგი სწავლებით და დარიგებით დააყენოს ჭეშმარიტ გზაზედ, გზაზედ შრომით საზრდოებისა. ერთი სიტყვით ამ გვარი სახლები არამც თუ მარტო იფარავენ ადამიანს რაიმე ბოროტმოქმედებისაგან, არამედ შეცოდვილებას კიდევაც ასწორებენ და გზაზედ აყენებენ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ზემორე ნაჩვენები მოსაზრებანი არავის არ ეჩვენება საძნელოთ. ყველა ამ მოსაზრებას ერთი დედა აზრი აქვს, რომელიც მჭიდროდ არიან ერთი მეორესთან გადამბულნი საზოგადობის მიზნის განხორციელება დამოკიდებულია მისს ქონებრივ შეძლებაზედ. შრომის მოყვარეობას სახლებთან სხვა დაწესებულების დაარსება ჩვენში ისეთი მოთხოვნილება არის, რომ ყველას კარგათ და გონიერად აქვს შეგნებული ამ გვარ დაწესებულებათა ყველგან გავრცელებული და ფრიად სასარგებლო იდეია შეკრებს ერთად მთელი ქალაქის მცხოვრებთ და ახლო-მახლო სოფლის მკვიდრთა, რათა შეერთებულის ქონებრივის ძალით შეუდგეთ ამ ჭეშმარიტ გონიერ მოსაზრების განხორციელებას. ამ საზოგადოებაში რომ ყოველს ცოტაოდენს შეძლებულს მწევრს შეეძლოს მონაწილეობის მიღება, ჩვენ გვაქვს სახეში, რომ თითეულმა წევრმა შემოიტანოს წელ·დში ორი მანეთიდან დაწყებული რა·დენიც შეეძლოს ან სურდეს. ორი მანეთი ჩვენის აზრით ყოველ ცოტა თუ ბევრად შეძლებულს პირს შეუძლია გადადვას ამ სასარგებლო საქმისათვის. ამ ნაირად თვითეული ჩვენთაგანი თავისუფალი ვიქნებით იმ მაწანწალა და კარზედ მომდგარ გლახებისაგან, რომლებიც მუდამ თვალებში გვეჩხირებიან, და რომლებსაც თითო ორ ორ კაპეიკობის ძლევით წელიწადში უფრო მეტს ვაძლევთ, ვიდრე ორი მანეთის კასსაში შესატანით. დასასრულ არ შეგვიძლია, რომ არ აღვნიშნოთ ის ხელობანი, რომლის შემოღებასაც ვაპირებთ მომავალს ჩვენგნით დაარსებულ შრომის მოყვარეობის სახლში.

როგორც ვიცით, ქუთაისის ღუბერნია ბევრს ძაგარს გზავნის რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში. ამა ძაგარისაგან გაკეთებული ცოცხები, ფეხის საწმენდი ჩოთქები ჩვენვე გვიბრუნდება უკანვე ერთი

ორ და სამ ფასად, მაშინ, როდესაც ქუთაისშივე შეიძლებოდა ამათი გაკეთება—დამზადება და შუაგულ კავკასიაში გავრცელება. ჩვენც ამისათვის გვსურს ეს საქმე ჩვენშივე ვაწარმოოთ და წარმოებაც აქაურებს ვასწავლოთ. ამ ხელობასთან ერთად იქნება წინდების და სხვა და სხვა აბრეშუმეულობის ქსოვის სწავლა. წინდების მანქანების შემწეობით ქსოვა ბევრს მუშას არ თხოულობს და ეს მოგვცემს დიდ შემოსავალს, რითაც გადიდდება საზოგადოების თანხაც.

არ არის მეტი იმაზედ ლაპარაკი, რომ ასეთი დაწესებულება დიდს სარგებლობას მოუტანს ქ. ქუთაისს და თვითან მათხოვრებს-გლახებსაც. რამდენიც არ უნდა შეიკრიბნენ, ამ გვარი გლახაკნი ქალაქში, თუ გინდ 300-იც, მაინც ყველას ექნება აქ თავშესაფარი და ღონის ძიება რაიმე ხელობა შეისწავლოს, ჩვენ არ ვეჭვობთ მასში, რომ ჩვენს დაწყებულ საქმეს ჯერ ჯეროობით ნაკლულევანებაც ბევრი ექნება, მაგრამ იმათაც თავისი მნიშვნელობა აქვსთ. როდესაც ჩვენს ნაკლს გვიჩვენებენ, ამით მეტი სურვილი აღიძვრის მის გასასწორებლად; მხოლოდ საჭიროა მხურვალე თანაგრძნობა და იმედი ქ. ქუთაისის და მის გარეშემო მკვიდრთა შორის, რაშიდაც ჩვენ არ ვეჭვობთ, თორემ ამ გვარი დაწესებულების გონიერი და კეთილი შედეგი სულ მოკლე მომავალში გამოჩდება,

თეოფ. ხუსკივაძე.

(რუსულიდან).

საქართველოზედ

ძველი დროზედ თავგადასავალი.

(საისტორიო მასალა).

გაგრძელება *;

მოვიდა მახარობელი სოსლან მეფისა გმირისა,
მან მოახსენა მართალი თურქთა მიხდომა ჭირისა,
სულტანსვე ეცა, რაც ჩვენთვის ნებდა შემთხვევა ძვირისა,
აწ ვგონებ სულტანს მოსვლისთვის ჰგინება ჰქონდეს ფირისა.

აწ მეფე თამარ იხილეთ, ვითარ ღვთისადმი მტრფობია,
ეკლესიათაც ყოველგან უმეტეს შემამკობია;
სოსლანც მოვიდა თამრის წინ, მეფემ ჰყო შენატკბობია,
ვმადლობ ღმერთსაო, თამარ ბრძნობს, ღვთის მშობლის შენახმობია,
მოხველ მშვიდობით, მეფეო, მეფე შეგკადრებ სვიანი.
საქმე ჰყავთ საკვირველი და ღვთისგან განგებიანი,
ქართველთ ერთობით უბრძანა მადლობა შენამზიანი,
ეგრეთვე სარდალთ უმეტეს მხარ გრძელს ვინც იყო ხმიანი.

გასცემს თამარ საუნჯესა ძველსა, ახალ-შენახულსა,
ქართველთ ერთა მრავლად მისცემს საჭურჭლესა გაღებულსა,
სულ აღავსებს ყველაყასა, ომისაგან ჭირნახულსა,
აწ დაითხოვს ყოველს თვის თვის, მცირს, აზნაურ დიდებულსა.

სცა მეფემ ნება თვისთა სპათ, ქართველთა ერსა ყველასა,
რათა სულტნისა ტყვე ქმნილნი ჰყიდონ, უქმიდენ ხველასა,
ცხენისა ნალზედ გაყიდონ, სხვად არ უქმიდენ შველასა,
თურქნი ბრინჯისა ჩვეულნი აწ სჭამდენ ავსთა წველასა.

მოიყვანეს ერთი დიდი თურქთა ფაშა მეფის წინა,
როს შეხედა მეფეს თამარს დაიღრიჯა. დაიბღიჯნა,
ვითა გველი დაიკლაკნა, ხმანი დიდნი დაიყვირნა,
მიშველეთო, მიშველეთო, მეფის თავმან გამაგიჟნა.

მეფემან ბრძანა განხადეთ გარეგან, გარეთ გაჰყევით,
რა მოევლინა, შეიტყეთ, რად გახდა გიჟათ რეტივით
ჰკითხეს თათართა ფაშასა რა დაგემართა რად ეგ ვით,
მან სთქვა მეფისა თავზედა ვნახე კიდებულ მზესავით.

როს შევხედეო მეფესა თავზედან თამარს ქებულსა,
ზედა რაღაცა ჰკიდავდა, ჰგვანდა სახმილსა გზებულსა,

---

* იხ. „მ წყემსი“ № 23—24 1896 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან შემომხედა მრისხანეთ მყის მყოფდა შეჭურვებულსა,
არვიცი, რა ვქენ, რას ვგვანდი, ვემსგავსე გაგიჟებულსა.
მას დროს მეფესა თამარსა ღვთისაგან ამაღლებულსა,
თავს ზედან ჯიღის მაგიერ სახე აქვს განშვენებულსა,
წმინდისა მიხაილისა, ვინ უაღრესობს კრებულსა,
მთავრისა ანგელოზისა ღვთისაგან დადგინებულსა.
Ცე სასწაული დიდი და მსმენელთა გასაკვირველი,
ვისც ღმერთი უყვარს იცოდეს ან ლოცვად იყოს მტირალი,
სურვილი ღვთისა გულს ედვას გლახათ შემოსად მჭვირვალი,
მოუვლენს მაშინ წყალობას, რომ ყოვლნი იქმნენ მკვირვალი.
სუფევდა მეფე, იშვებდა განცხრომით იყო შვებულად,
ვინც ამის დრონი ქართველნი ცხოვრებდენ განდიდებულად,
გამოჩნდის ვინმე მებრძოლი, მყის ჰყვიან შეჭირვებულად,
ვერვის ნახევდი მას ჟამსა ვერც საპყართ შეიწრებულად.

მონაზონთა მოსვლა შავის მთითა და თამარისაგან მრავლის მიცემა ეკლესიისათვის აღსაშენებლად, და ცნობა ალექსი კეისრისაგან და ანგარებითა თვისითა მათ მონაზონთა აკლება და თამარისაგან ცნობა, და კაცის გაგზავნა თამარისაგან კეისარისა წინაშე, რათა მონაზონთა მათ სცეს იგივე საუნჯე უკან, და კეისრისაგან უარის თქმა, და თამარისაგან ტრაპიზონის აკლება და დატყვევება ნაცვლად მისა.

მოვიდნენ მონაზონები, შავის მთით იყვნენ რებულნი,
მოსავნი, ღვთისა მოშიშნი, ქრისტიანობით ქებულნი,
მეფის თამარის წინაშე ვედრებად შეჭირვებულნი,
გვიშველე, ხელი აღგვიპყარ, ვართ შენი შევედრებულნი.
გვიბოძეთ თქვენი წყალობა, ვყოთ ეკკლესიათ შენება,
ვართო შავის მთის მონასტრით ჩვენ მუნ გვაქვს ყოვლ დღე ცხოვრება,
გვესმა დიდება მეფეო, შენი ღვთისადმი მონება,
გვეწიე, მოგვეც შეწევნა, ვით გამხელს ბრძენი გონება.
მსმენი მეფეი თამარდა იყო უცხოთა მტრფობია,
უფროორე ქრისტიანეთა და ყოვლ დღე მათი მკობია,
ბერთა, მონაზონთ და მღვდელთა მათდამი შენახობია,
იგინი ახსოვს უფროორე. არის მოლათა მგმობია.
მათ მონაზონთა უბოძა, სცა ოქრო ვერცხლი დიადი,
ეგრეთვე ქართველთ ყოველთა მისცეს უზომოდ ფრიადი,
წარვიდნენ მონაზონნი და შავ მთადმდე იყვნენ ვლიადი
მცნობი ალექსი ბოროტი, ვერცხლის მოყვარე ზვიადი.
ალექსი კეისარმან და ღვთისა პირითა წყეულმან,
ქრისტიანეთა მტერმან და ეშმაკთ რჩევისა ჩვეულმან,
რა სცნო მონოზონთ სიმდიდრე ღვთისაგან შეჩვენებულმან,
ბრძანა წართმევა ყოვლისა მათ ზედა მტრულათ ძლეულმან.
წაართო მათი ნაღვაწი თამარის მიცემულები,
სრულად აიკლო უწყალოდ წმინდანი ხატი მკულები,
ოქრო და ვერცხლი ყოველი რაც ჰქონდათ წაღებულები,
მოვიდნენ თამარს შესჩივლეს, აჰა ალექსის ქმნულები.
კვალად იახლნენ იგივე მონაზონები მეფესა,
შესჩივლეს ყოვლი ყოფილი თამარს უხვ მოიეფესა,
ალექსიმ ასე აგვიკლო, აწ მსგავს ვართ ქვათა მკრეფესა,
ეჰა მეფეო შეგკადრებთ თქვენა და თქვენსა სეფესა.
მეფემ უბრძანა ნუგეში, უწუხელობა გულისა,
ნურც გაქვთ კეისრის შიშიო, ნურც და ტკინვა თქვენი სულისა;
კეისარს კაცი უბოძა წიგნით სიტყვები მკულისა,
ვითარ იკადრე შენ ჩემი შეურაცხება რჯულისა!
ალექსი ვიცი დიდი ხარ ბერძენ თათარზედ მყრობელი,
მე ქართველთ მეფე შავის-მთის ვარ ეკლესიათ მკობელი
რაზედ წაგირთვამს ამათთვის შექმნილხარ რჯულის მპობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთხოვ უკან მისცე ყოველი, რად გინდა ხმალი
მსობელი.
ალექსიმ არა ისმინა, არც ელჩის იქმნა მნახ-
ველი,
არცა პასუხი შეჰკადრა, არც არას ექმნა მსახველი,
ელჩი მოვიდა უკანვე მეფესა ექმნა მძრახველი,
ყოველი ჰკადრა ყოფილი არს კეისარი ძფახველი.
მეფე განრისხდა, გაცასწყრა, გული აწცასძრა
სვიანი,
მყისვე მოკრიბა ლაშქარნი მხნე-მამაც გიორგიანი,
უჩინა სოსლან, წარგზავნა მეფეი გვირგვინიანი,
ტრაპიზონს უქმენ შემწველად, გაუხმე ვარდი იანი.
კვალადვე მონოზანთამათ მისცა უმეტეს წინისა,
წადითო, ნულარ იშიშვით, ნურცა ფიქრი გაქვთ
თქვენ მტრისა,
მათ მადლი ჰკადრეს წყალობის, ლოცვა მოიღეს მათ
ღვთისა,
მაგიერს ღმერთი გადგიხდის წარმართვად თქვენი
საქმისა,
მიმართა სოსლან მეფემან ტრაპიზონს იქმნა
მისრული,
მათ მოუვლინა ღვთის რისხვა, უჩვენა თვისი ძალ
გული,
სრულ აღაოხრა მცხოვრებნი, ვით ჰქონდა ბრძანება
სრული,
ტყვე-ჰყვნა, აღსწყვიტნა, და ცასწვა ქალაქი განდი-
დებული.
მცნობი ალექსი ამისი არს დია შეჭირვებული,
სიკვდილი მიხვდა, სოფელმან არღა ჰყო დადგინე-
ბული,
ოხრათ დაურჩა ყოველი ოქრო და ვერცხლი გე-
ბული,
აწ ქართველთ მეფე იხარებს განცხრომით არის შვე-
ბული.
ოცდაოთხი წელი იქმნა, რომე დედა თამარ
მეფობს,
განდიდებით ღვთის მაშიშობს, ჯვარ-ხატთ მკობას
ყოვლ დღე ჩემობს,
მისი ხმანი ყოველ კიდეს გლახაკთ ზედა მოიეფობს,
საქართველო მისის ხმითა დღესაც კიდე სჯულით
მზეობს.
აწ სიხარული და შვება მათ ჰქონდათ ყოველ
დღე შვებულად,
მწუხრებასა სოფელი არ მოშლის თვისსა ვნებულად,
მისცვალა სოსლან უცემად ჰყო სიკვდილ განმზადე-
ბულად,
მეფესი ქმარი მეფეი, ვინ სიბრძნით მხნობდა ქებუ-
ლად.
ვითარი გლოვა შეექმნათ არ ძალ მიცს თხრობა
ენითა,
მათი ტირილი თავს ცემა ზოგნი არნ წვერთა წე-
ვითა,
ეგრეთვე თამარ მეფეი არს ნაღველ პირის თხეევითა,
მაგრამ დაუთმოთ უფალსა, ვართო ადამის ჩვევითა.

ამა მწუხარებისა შინა აღსძრა ეშმაკმა არდაველის სულტანი შემოიკრიბა ლაშქარი და ბრწყინვალესა აღდგომისა დღესა მოვიდა ანისის ქალაქსა ზედა, ოდეს საყდართა ლიტანიას უვლიდნენ იმ დროს უცემადა, და შეუხდა ქალაქსა ანისისასა ციხეზრის ჟამსა, და — ურიცხვნი ქრისტიანენი მოსრნა, რაოდენიმე მწირველნიცა ღვდელნი ეკლესიასა შინა ტრაპეზსა ზედა დააკვლევინა ვითარცა ცხვარი და ქალაქი იგი სრულად მოაოხრა და იავარჰყო, და წარვიდა უვნებლად. მცნობი მისი თამარ მეფე იქმნა უმეტეს მწუხარე გარნა ძალითა ღვთისათა-უგონო ნაცვალი ვიდრე ორი წილი მეტი შემდგომად რაოდენისამე ხანისა.

ოთხსავე კიდეს რა ესმათ სიკვდიდი სოსლან
გმირისა,
უმეტეს სპარსთა ახსოვდათ მისგან მიხდომა ჭირისა,
არდაველისა სულტანმან ჰყო დღე მუნ სიხარულისა,
ბრძანა ლაშკართა მოკრება დიდისა არა მცირისა.
იპოვა დრონი სულტანმან მომართა ანისს ძა-
ლულად,
მოვიდა ქრისტეს აღდგომას, ჯარი ჰყო დარაზმებუ-
ლად,
ლიტანიასა უვლიდენ მუნ ერნი ჩვეულებულად,
მას დროს ეკვეთა, ქალაქი ვით იყო გამზადებულად.
მოსრნა, აღიღო ანისი, მუნ სახლი ტურფად
გებულნი,
იგი დღე ქრისტეს აღდგომის მათ უქმნა გამწარე-
ბულნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელნი საყდარში დახოცნა, მზად წირვის გამზადებულნი,
ტყვე ჰყვნა აუხრა უწყალოდ, წარვიდნენ უკუნ რებულნი.
ამისი მცნობი მეფე და თამარ სწუხს დაუცხრომელად,
ეძიებს დროსა მარჯვესა მათ ექმნას თავის მპობელად,
იდროვა დრონი, მიმართა, ექმნა მათ ადვილ მსწრობელად,
მათსა მარხვასა ბილწსა და რამაზანისა მხმობელად.
თათართა მარხვა ბილწი და რამაზად სახელ დებული,
მას დროსა მეფემ თამარმან ჯარი ჰყო მომზადებული,
დიდი სპასპეტი უჩინა მხარ-გრძელი გულად ქებული,
უბრძანა. წადი, აღსწყვიტე სულტანი გახარებული.
წავიდა ლომი მხარ-გრძელი ნელად აქვს მიმოსვლანია,
მივიდა არდავს მოერტყა ჩუმად ჰყო რაზმი მზანია,
როდეს მოლამან აზანი დილას უტევა ხმანია,
მაშინ მიმართეს ქართველთა სვეს თათართ სისხლი კმანია,
სრულად აღსწყვიტეს, აოხრეს ქალაქ-მცხოვრები ყოველი,
მოლები დაჰკლეს ვით ღორი, ვით გოჭი ძუძუთ მწოველი.
სულტანი ცოლით და შვილით გასწყვიტეს, ექმნენ მსპობელი,
დედანი ყმაწვილებითურთ ხანჯლით შეექმნენ მსობელი.
მობრუნდა სარდალ სასპეტი, ვის გულით ლომსა ხადიან,
გამარჯვებულნი იახლნენ, მეფეს ქებასა ჰხმობდიან,
მეფეო, სრულ ვყავ ბრძანება მე შენით დამიქადიან,
სპასპეტი შენი შეგკადრებ, რაც რომ მუნ გადამხედიან.
აღვიღე სულტნის ქალაქი დავსწვი დავდაგე სრულებით,
სულტანი თვისის ცოლ შვილით მოვჰკალო შეუწყალებით,
მოლები ღორთა მაგიერ დავხოცე თქვენის ძალებით,
გიახელ გამარჯვებული საესეო ნივთთა კმარებით.
მეფე თამარ მოხარულობს თათართ შურის ძიებასა,
არსადღა აქვს ბრძოლა ვისთან, ხშირად შეიქმს ლხინს კრებასა,
გლახათ მისცემს უსაზომოდ, ობოლთ უზამს ზრდით მზობასა,
მაგრამ სთხოვდა კვლავ სპასპეტი ლაშქრობას და შორ გზობასა.

ზაქარია მხარგძლის წასვლა ხორასანსა ზედა და გალაშქრება გიორგიელთა მხედრობითა ბრძანებითა თამარ მეფისათა, და მრავალთა ქალაქთა აღება და სპარსეთის მოოხრება ქართველთაგან ძალითა ღვთისათა და ვერავისაგან შემართება ომითა და შემობრუნება ზაქარიასა უვნებლად ალაფითა დიდითა. ვინცა უყვიეს ბრძოლა, აღაოხროს სრულად და აღსწყვიტოს და ვინცა ხარკი მიართვის, განუტევის მშვიდობით.

ზაქარია ხმობს, მეფეო, მეფეთა ზედა სვიანოღვთისა მიერის წყალობით, განგებით გვირგვინიანო,
მაღალთ, ბრძენო გონებავ, საუბარ ენა-წყლიანო,
გთხოვ, ნება მიეცეს მონასა, მორჭმულ, კეთილ, გზიანო.
მინდა წარვიდე ხორასანს, მე ძალნი შენნი მყვებოდენ,
მათცა ვუჩვენო ყოფაი, შენის შიშითა კვდებოდენ,
იცნონ სრა მეფეთ მეფისა, თამარის შუქსა კრთებოდენ,
ხარჯი მოგართვან შეშინდნენ, ვით ლომნი ვერღა ხლტებოდენ.
მეფემან ბრძანა, ვიცრო შენი არ არის მცდარია,
მოგეცო ნება ყოველი, ვლეო ხორასნის მზღვარია,
იალაფეო, თათარნი შენ იგი ვით მოგერია,
ცუდა ყოფასა ეგე სჯობს ლხინი და ომი სწორია.
ბრძანა მოკრბესო ლაშქარნი ყოველი გმართა სწორია,
მოვიდნენ გიორგიელნი სიმრავლით ვით ცის ხომია,
კაცი ოთხასი ათასი ყოველნი ომის მდომია,
სწერია ისტორიაში, ჩემგნით არ არის ჭორია.

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

მოახლოვდა წარსული წლის ის უბედური თთვე და დღე, როდესაც იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გამოეთხოვა ამ ქვეყანას და დაამობლა თავისი სამწესო. ამ იანვრის 26 რიცხვს სწორედ ერთი წელიწადი სრულდება, რაც იმერეთის ეპარქიის სამწესომ დაჰკარგა თავისი საუვარელი და მვირფასი მწყემსთ-მთავარი, რომელსაც იგი სტირის და იგლოვს დღემდის. თავდაპირველად განსვენებული მღვდელთ-მთავრის გაბრიელის მოკლება ისე საგრძნობელი არ ეოფილა, როგორც დღეს არის. განსვენებული თითქო ყველას ელანდება, ძილში და სიზმარში; განსვენებულს ხედავს მისი სამწესო ხან ჯირკზე შემდგარს, ხან დიდ ქვაზე და ხან მაღლობ გორაკზე მქადაგებელს, მოსაუბრეს. მათი მეუფების სიზმარში მოჩვენება ყველას სინამდვილეო მიაჩნია, მაგრამ როცა გამოიღვიძებენ და რწმუნდებიან, რომ მათი მეუფების ხილვა ნამდვილი კი არა სიზმარი იყო, ისევ გული უჩუდებათ და ცრემლთა ნაკადული მოდისთ თვალთაგან. თვალით რომ არ ენახათ, შეიძლება, არც კი დაიჯერებდენ ზოგნი, რომ მათ მეუფებას გამოთხოვების დროს ცხარე ცრემლით სტიროდა თავისი სამწესო და დღესაც ამავე ცრემლით სტირის და იგლოვს იგი თავის დაუვიწყარს მწყემსთ-მთავარს.

ჩვენ რა სიტყვა გიძღვნათ, საუვარელო და დაუვიწყარო მწყემსთ-მთავარო წლის გამთავეს? ავწეროთ თქვენი მოღვაწეობა და მოუთხრათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველთ? არა; ეს რა საჭიროა, როდესაც ყოველმა ქართველმა უჩვენოდაც კარგათ იცის, თუ ვინ და რა იყავით არა მარტო თქვენი სამწყსოსათვის, არამედ მთელი საქართველოის ხალხთა და ეკლესიისათვის და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ გლოვას და ტირილს საშზღვარი არა აქვს. ერთად ერთ ნუგეშს და მეოხებას ვპოვებთ ჩვენ იმ მგრძნობიარე სიტყვაში, რომელიც გიძღვნა შენ გამოთხოვების დღეს უფროსმა მწყემსთ-მთავარმა, საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა ვლადიმირმა დიდებულს გელათის მონასტერში. ამ სიტყვამ ყველა იქ დამსწრეს ცხარე ცრემლი ადინა, მაგრამ ამავე დროს დიდი ნუგეში მისცა შენგან დაობლებულ სამწყსოს, ამ სანუგეშო სიტყვის დაბეჭდვას დიდი ხანია მოელოდა ყველა ქართველი. აი წლის თავზე ვასრულებთ ამ მოლოდინს. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა, ვინც კი წაიკითხავს ამ სიტყვას, დიდათ ინუგეშებს და თან გულითად მადლობას უძღვნის ამისთანა თანაგრძნობის და სანუგეშო სიტყვისათვის მრსს წარმომთქმელს საქართველოს ექსარხოსს, მთავარ-ეპისკოპ. ვლადიმირს.

სიტყვა,

თქმული იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის დასაფლავების დღეს მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის უუწმიდესის სინოდის წევრის, ქართლ-კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოის ექსარხოსის ვლადიმერის მიერ.

„შემოკრბით, რათა მოგითხრათ თქვენ, რაი შეგემთხვევის თქვენ უკანასკნელსა დღეთასა, შემოკრბით და ისმინეთ ძეთა იაკობისთა, ისმინეთ ისრაილ, მამისა თქვენისა“ (შესაქმ. 49, 1-2)

ესრედ ეტყოდა მომაკვდავი მამათ-მთავარი იაკობი თვისს შვილებს და შვილი-შვილებს, როდესაც ისინი ღრმა მწუხარებით უკანასკნელად გარეშემორტყმოდნენ სარეცელს მისის სიკვდილისას და კეთილმოკრძალებითის ძრწოლით ისმენდნენ წინასწარმეტყველურს სიტყვებს მისის ლოცვა-კურთხევისას. როდესაც აკურთხა თვისი შვილები რიგ-რიგობით, ერთი მეორის შემდგომ, მამათ-მთავარმა ყოველთა წინაშე გამოაცხადა თვისი უკანასკნელი ნება, რათა ისრაილის (იაკობის) შვილებმა დაკრძალონ თვისი მამა იმ მღვიმეში, სადაც აბრაამი განისვენებდა, შემდეგ თავი დასდო თვისის სარეცელის სასთუმალზედ და განუტევა სული. „და დავარდნენ იაკობის ძენი პირსა ზედა მამისა თვისისასა და ტიროდნენ მას ზედა და ამბორს უყოფდნენ მას“ (შესაქმ. 50, 1)

ეს დიადი, გულის შემზარავი „დაბადებაში“ გამოხატული სურათი აწინდელს ჟამს უნებლიედ წარმოუდგება ჩვენს ფიქრსა, როდესაც ვხედავთ ყოველსავე, რაც ხდება ჩვენს გარშემო. აქაც, ვით ძველმან მამათ-მთავარმან, დასდო თავი სიკვდილის სარეცელზედ და განისვენა თვისთა შრომათაგან მხცოვანმა მოხუცმა, უხუცესმან საქართველოის მართლმადიდებელის ეკლესიის მღვდელ-მთავართ შორის, მამამან მრავალ-რიცხვოვანის სულიერის ოჯახისამან. მანაც, ვით მოყვარულმან ისრაელმან, უკანასკნელად თვის გარშემო შეჰკრიბა მახლობელნი და შორეულნი, მორჩილი და ერთგული შვილები და შვილის შვილები და მოუწოდა ყველას, ვინც მასთან იყო შეკავშირებული ნათესაობის, მეგობრობის და პატივის-ცემის მტკიცე კავშირითა. მოუწოდა და „შეიძრა მთელი ქალაქი“ (მათ, 21, 10) ქუთაისი და მასთან ერთად მთელი იმისი ვრცელი ღრმა მწუხარებით ზარ-დაცემული, სამწყსოც. აღურაცხელის სიმრავლით, ღრმა დუმილით ისინი, როგორც მომაკვდავის მამის მოყვარული შვილები, ლმობიერნი, მტირალნი და მლოცავნი გარეშემორტყმიან სარეცელსა მისსა, რათა უკანასკნელად მოისმინონ მისი ანდერძი, მიიღონ მისგან უკანასკნელი ლოცვა-კურთხევა და შემდეგ „დაეცნენ პირსა ზედა მისსა“ და იტირონ მასზედ ლოცვებრივის გოდებითა და ეამბორონ უკანასკნელისა ამბორებითა. „შემოკრბით და ისმინეთ ძეთა ისრაელისათა, ისმინეთ ისრაილ, მამისა თქვენისა“

მოკლე არ იყო, თითქოს ასე გელაპარაკებათ თქვენ განსვენებული თვის კუბოდგან, მოკლე არ იყო დღენი მოგზაურობისა ჩემისანი ღვთის მიერ კურთხეულის სამშობლოის მიწის კიდეთა შორის; მოწყალე უფალმა მარგუნა სამსახური სასარგებლოდ ეკლესიისა და სამშობლოისა წელთა არა მცირე რიცხვის განმავლობაში; ბევრი რამ ვნახე, კეთილიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოროტიც კაცის სავალს გზებზედ, ბევრი რამ ჭეშმარიტად მეხარებდა, ბევრის გამო ღრმად ვიტანჯებოდი, და აწ გადავსცდი რა საზღვარსა საიქიო ცხოვრებისასა, არ შემიძლია არ გაუწყოთ თქვენ ის, რითიც აღსავსეა გული ჩემი".

,,თქვენდამი, მწყემსნო ქრისტეს სიტყვიერისა სამწყსოისანო, ყოფილნო ჩემნო მახლობელნო თანაშემწენო და თანა-მშრომელნო, თქვენდამი, ჩემო რუბიმ და სიმეონო, პირმშო შვილებო იმ ძვირფასის ოჯახისა, რომელსაც ვსტოვებ, თქვენდამია მომართული პირველი სიტყვა, მტკიცე მცნება მამისა თქვენისა, ჩემის გულის ღრმა მწუხარებით არ დავმალავ თქვენგან იმას, რომ, ვითარცა „დაბადება" იტყვის, გვშორდებიან „და ყველას ხვედრს გზაზედ" მიდიან მწყემსნი უწინდელისა შთამომავლობისა და მათთან ერთად ჰქრებიან ის გარდმოცემანიც, რომელთ ხასიათის, სულ-გულის თანახმად ისინი აღასრულებდნენ თვისსა სამსახურსა.. წმიდა სარწმუნოება და ეკკლესია არიან ერთნი მხოლოდ უცვალებელნი ყოველსა დროსა; ეკკლესიის მსახურნი კი მსვლელობენ საუკუნოის მოძრაობის ზედ-გავლენის ქვეშე და მათ შეეძინებიან თანამედროვე ჰაზრები, მიმართულებანი და ლტოლვილებანი. ამ ჰაზრის მხრით უწინდელის ჩამომავლობის მწყემსნი იდგნენ თვისის ხარისხის და მოწოდების სიმაღლეზედ; იმათ ჰქონდათ გავლენა საზოგადოებაზედ მოძღვრებითის, შემრიგებელის და სარწმუნოებითად გამამტკიცებელის ძალითა. ისინი სრულიად ერთგულნი იყვნენ იმ წოდებისა, რომელსაც ატარებდნენ, ისინი თვისს საქმეს აღასრულებდნენ, როგორც საღმრთო საქმესა და „უგალობდენ უფალსა, სანამ მათში არ ჰქრებოდა ლამპარი ცხოვრებისა, რომელიც უნათებდა ყოველთა სახლსა შინა მყოფთა". ისინი კი არ პირმოთნეობდნენ წინაშე დროის ხასიათისა, არამედ ყოველგან შეჰქონდათ სიტყვა კეთილ-გონივრული, მოძღვრებითი; ისინი არ ეძიებდნენ თავის გამოჩენას სოფლის მკვიდრთა წინაშე, რომელნიც თვით მოდიოდნენ ძიებად მათგან ნათლისა თვისთა სულიერთა უძლურებათათვის, და არც უხვევდნენ სხვა და სხვა გზებზედ; ისინი მთელს თვისს სიცოცხლეს სწირავდნენ საღმრთო საქმესა. მოიფიქრეთ, როგორი მოპოვებაა მრევლად-წოდებულის ოჯახისათვის ესრეთი მწყემსი. თქვენ თვით უწყით, თუ რამდენია ის უხილავი ძაფები, რომლებითაც მწყემსი შეკავშირებულია თვისს სამწყსოსთან! მისი სიტყვა ხალხის გულში აღვიძებს კეთილს ჰაზრს და გრძნობას, მისი ლოცვა მოჰფენს ღვთიურს კურთხევას შინაურს ცხოვრებასა, მისი ღვთის-მსახურება აღაგზნებს ჩვენს კეთილ-მორწმუნოებას და ლმობიერებას, მისი აღსარება შთაიბეჭდება სულში და გამოიწვევს სინანულსა, თვით მისი შეხედულება, სულიერის მამისა, შეაჩერებს ყოველს ცუდს ჰაზრს და ბოროტს საქმესა. ჩემო მეგობრებო! ნუ გაგიტაცებენ თქვენ სხვა და სხვა გვარი თანამედროვე მიმართულებანი, ესრედ უცხონი და შეუფერებელნი თქვენის მაღალის ხარისხისათვის, ნუ შეგეძინებიან თქვენ ჩვენის დროის ცვალებადი ჰაზრები ბევრის ესრედ მომხიბლავნი, ნუ შეგარყევენ თქვენ მეცნიერული, გარეგნობით ღრმა, მაგრამ ცალმხრივნი გამოკვლევანი იმ პირთა, რომელნიც ვლენან უარყოფის გზითა. გთხოვთ თქვენ მთელის ჩემის თქვენდამო სიყვარულითა, დაიცევით თქვენის სიცოცხლის დასასრულამდის სრულის ხელშეუხებლობით მთელი სიმკაცრე ჭეშმარიტად მართლმადიდებელ ეკკლესიურ რწმუნებათა და ერთგულება თქვენის მწყემსურის მოვალეობისადმი, და მაშინ რაზომ უკიდურეს ხარისხამდისაც უნდა მიაღწიოს საუკუნოის გატაცებამ ყოველგვარის მავნებელის, ქრისტიანობის და ეკკლესიის წინააღმდეგის ჰაზრებით, თქვენ იქნებით უვნებელნი და ერთად ოქროპირთან შეგიძლიათ ხმა-მაღლა თქმა: „ძლიერია ტალღები, ცხოვრების ქარიშხალი, მაგრამ მე არ მეშინის დახრჩობისა, რადგანაც კლდეზედ ვსდგავარ, დაე იღრიალოს ქარიშხალმან, დაე გამძაფრდნენ ტალღები; ისინი მე ვერას მავნებენ". ამ მაგარს კლდეზედ რომ იდგეთ, ცხოვრების ზღვის მეტად შფოთიანის ტალღების ცემის ზემოთ, და ამავე დროს მოყვასისადმი ქრისტიანობრივის სიყვარულით გამსჭვალული იყვნეთ და თქვენთა მოძღვართა დიდებულის მაგალითებით გამხნევდებოდეთ, თითოეულს თქვენთაგანს საღმრთო მადლის თანა-შემწეობით შეუძლია იყოს ჭეშმარიტ ანგელოს-მფარველად ყოველთა, რომელნიც იღუპებიან იჭვიანობის, ურწმუნოების, ცოდვის და სასოწარკვეთილების უფსკრულში. არ დავმალავ შენგან, კეთილო, მეტად საყვარელო ჩემო სამწყსოვო, რომ, ოდესაც ვხედავდი ხალხში სამწუხარო თანამედროვე სურათს სარწმუნოების . შესახებ სხვა და სხვა ჰაზროვნებისას, და ვონებითის და ზნეობითის დაღილისას, ხშირად უნებლიედ მაგონდებოდა ის კეთილი, ძველი დრო, როდესაც თქვენმა მამებმა და პაპებმა იცოდნენ სიკვდილამდისაც კი ერთგულად ყო-

ფა ჩვენის სახალხო ცხოვრების დასაბამითის და საუკუნო საფუძვლებისა მართლ მადიდებელის სარწმუნოებისა და ეკკლესიისა იცოდნენ ფიქრი და მოქმედება ერთობ-თა. ისინი არ შეთხვზიდნენ თავისა თვისისათვის ახალსა „გონიერულსა სარწმუნოებასა“, არ აღუშენებდნენ უხილავს ღმერთს ოცნებითს და ამაოებითს საკურთხევლებსა ცრუ-სახელოვანის გონების სუსტს საფუძვლებზედ; ისინი იცავდნენ წმიდად მართლმადიდებელის სარწმუნოების, დოღმატებს“, მტკიცედ იდგნენ და არ ეშინოდათ ჭეშმარიტების მტერთაგან არავითარის ზედ-დასხმა შეჭირვებისა. ისინი ეკკლესიასთან კავშირს არ სწყვეტდნენ და არც თხოულობდნენ მისგან „დათმობას“ და „მორიგებას“, არ შედიოდნენ მაში (ეკკლესიაში) იმ განკარგულების მქნელის მეფიდურობით, რომელიც (განკარგულების მქნელი) მიიღებს ერთსა და უარ ჰყოფს მეორესა, თანახმად თვისის გემოვნებისა; მათ ეპვ-შეუტანელად სწამდათ, რომ ეკკლესია არის —ღვთის სახლი, რომლის მფლობელი თვით სული წმიდაა, სწამდათ და არსებითად შეერთდებოდნენ მასთან, ვითარცა ცხოველნი წევრნი, რომელნიც თვისთ შორის გრძნობდნენ მის (ეკკლესიის) სისხლის ტრიალს, მის გულის ცემასა, იმათთვის, რა ძალისაც უნდა ჰქონოდათ ფილოსოფიური ჰაზროვნება და რაზომ მდიდარნი უნდა ყოფილიყვნენ ცოდნათა სიმრავლითა, ჯვარცმული მაცხოვარი – ჭეშმარიტი მხსნელი იყო, მადლი კი — ჭეშმარიტი სულიერი ძალა, განმანათლებელი და მკურნალი, ლოცვა ღმერთთან შემაერთებელი საშუალება, საიდუმლოები ეკკლესიისა წყარო მადლისა, საეკკლესიო წეს-რიგი სასულიერო ვარჯიშობა, სარწმუნოებითის გრძნობის მსაზრდოებელი და სულის გამაფხიზლებელი თვით იმათი სახლები შინაურს ტაძრებს ჰგავდა, და მწყემსი მათში ითვლებოდა მლოცველ მეოჯახედ, თანამოსაუბრედ და მრჩეველად სიხარულის და ვაების დროსა. აწინდელი საზოგადოება ფრიად შორს დადგა ეკკლესიიდამ, თვისნი მისდამი მოთხოვნილებანი მან შეზღუდა მხოლოდ ერთის საჭირო წეს-რიგის აღსრულებითა, დასუსტდა სულიერი კავშირი, და რაღა გასაკვირველია, რომ ეკკლესიის მწყემსებს ისეთს პირებად სთვლიან, რომელნიც მათ თავს აბეზრებენ თავიანთის ხშირის ნახვითა. მაგრამ მართლ-მადიდებელი სარწმუნოებაა ჩვენის ერის სული, წმიდა ეკკლესია კი იმისი დედა, მისი მასწავლებელი და აღმზრდელი. ეკკლესიის ხელ-მძღვანელობის ქვეშე აღიზარდა მისი მართლმადიდებლობითი ხასიათი, შედგნენ ჩვეულებანი და წესნი მისის საოჯახო და საზოგადოებრივის ცხოვრებისა, ეკკლესიაში მას ზეგარდმო მადლი ეფინების, ეკკლესიაში განისწავლების, მწუხარებს და მხიარულებს, მოიგონებს დიდთა ამბავთა თვისის წარსულისას და მომავლის იმედს განიმტკიცებს, ის, ვით ძველად ებრაელები, მოწოდებულ არს საღმრთო განგებულებით დასაცავად ჭეშმარიტის ეკკლესიისა; და ის აღორძინდება და ამაღლდება მხოლოთ იმდენად, რამდენად ერთგული იქნება მართლმადიდებელის ეკკლესიისა. ეკკლესიის ცხოვრებასთან შეკავშირებულია მისი საკუთარი ცხოვრება, იმის სიმრთელესთან მისი უშიშროება, იმის აღყვავებასთან მისი დიდება. გვედრით თქვენ, გაძლიერდეს და გამტკიცდეს თქვენი სარწმუნოება და ერთგულება ეკკლესიისადმი; გავრცელდეს თქვენ შორის ქრისტიანობრივი განათლება და მოეფინოს ნათელი მისი ყველგან, ყველა ქალაქებში, ყველა დაბებში და სოფლებში, ყოველს ადგილს, სადაც-კი არის ცხოველი ქრიტიანე სული. დაე სრულ იქმნეს თქვენი სათნოება და აღმოიფხვრას ყოველი ბრიყვი ბიწიერება, გაჰქრეს ყოველივე სიბოროტე და გამეფდეს სიყვარული, ის ქრისტიანობრივი სიყვარული, რომელიც ნამდვილი განხორციელებაა ზნეობითის სისრულისა და ამასთან წინდია თვით საამქვეყნო ბედნიერებისა. სარწმუნოების და სათნოების ჩრდილს ქვეშე დაე აღორძინდეს და აღყვავდეს თქვენი ცხოვრება, საზოგადოებრივი და საოჯახო. „გაკურთხოს თქვენ უზენაესმან ყოვლითა კეთილითა ქვეყნისათა და სუფევდენ თქვენზედ კურთხევანი მამისა თქვენისანი უკუნისამდე“.

„და დავარდნენ ძენი ისრაილისანი პირსა ზედა მამისა თვისისასა, ტიროდნენ და ამბორს უყოფდნენ მას“.

გრძნობ თუ არა შენ, იმერეთის კეთილო სამწყსოვო, თუ როგორი მეტად ღირსეული მღვდელ-მთავარი დაჰკარგე?! უფალმან არგუნა მას თითქმის ნახევარ საუკუნოის, მეტად ძნელის, ახოვანის, ნაყოფიერის, ეკკლესიისა და მამულის სასარგებლო სამსახურის შესრულება. ნახევარი საუკუნე დაუღალავ შრომათ; ნახევარი საუკუნე სარწმუნოების და კეთილ მსახურების ცხოველთა ღვაწლთა, ნახევარი საუკუნე ეკკლესიაში მოძღვრებისა და სახარების ჭეშმარიტებათა და გარდმოცემათა დაცვისა, ნახევარი საუკუნე პატიოსანის, მშვიდის მსახურებისა, რომე-

ლიც წლებთან ერთად არ ბერდებოდა, არამედ მხნევდებოდა და გულოვანდებოდა, ნუ თუ შეიძლება არ იგრძნოს კაცმან უნებლიეთი პატივისცემა ასეთის პატიოსანის, დიდხნოვანის მსახურების ერთის წარმოდგენითაც კი. „და იყოს განსასვენებელი შენი პატიოსანო“, დაუვიწყარო თანამოძმეო და თანამუშაკო ჩვენო! ტყუილად კი არ გამოიწვია შენის გარდაცვალების ამბავმა მართლმადიდებელის საქართველოის ყოვლს კუთხეში ამდენი კეთილ-შობილურნი მოგონებანი, ლოცვითი ხსოვნა, გულითადი მწუხარება და ცრემლები! განსაკუთრებით მწარე გრძნობებით და შენთვის ლოცვით აღსავსეა შენი დაობლებული იმერეთის სამწყსო. ოცდა-თექვსმეტ წლოვანმან შენმან მასთან სულიერმან კავშირმან ის შეასისხლ-ხორცა შენთან, მას უაღრესად მისცა უფლება შენი თვის მამად წოდებისა და მიჩნევისა. ის საკუთრად იყო საღმრთო ყანა, რომელშიაც ჩაყრილ იქმნა თესლი შენის განმანათლებლობითის და დიდად-გამოცდილის სამწყემსო მოღვაწეობისა. მასზედ იყო შენ მიერ შემოკრებილნი ყოველნი განძრახვანი, ყოველნი საუკეთესო ინტერესები, ყოველნი საუნჯენი შენის იშვიათის გულისა, იმის საკეთილოდ შენ შესწირე ყოველივე, რაც გიჩვენა მეცნიერებამ და საეკლესიო მართვა-გამგეობაში გამოცდილებამ, რასაც გამცნებდა შენი ნათელი და სისწორით მქცევი და გამომკვლევარი გონება, ხელ-ძღვანებული სამღვდელ-მთავრო მადლის ძალითა. შენ მიუძღვენ მას მცნება სიყვარულისა და მოწყალებისა, კეთილ-მსახურებისა და შრომისა და ყოველს საათს, სიტყვით და საქმით, ასწავებდი შენს საწმყოს დაეცვა და აღესრულებია ეს მცნება. ყოველთვის მოძღვრებაში ზომის და საქმეში სიმტკიცის და მცველს, მაღლად გეჭირა დროშა ქრისტეს საწმყოსის გამგებლისა და მზრუნველურად შრომობდი შენის ეპაარქიის სიკეთისათვის. დიდს ხანს არ მომიხდა მე შენთან სამსახური, განსვენებულო თანა მოძმეო, ერთს და იმავე ასპარეზზედ, მაგრამ მოკლე დროის განმავლობაშიც არ შეიძლებოდა არ შენიშნულ ყოფილიყო, თუ როგორ დაუღალავად აკეთებდი ყოველსავე საქმესა, იმის მიუხედავად, რომ მოხუცებული იყავი, შენ თვით პირდაპირ, განიხილავდი და განიცდიდი ყოველსავე და არც ერთი საქმე ისე არ გაკეთდებოდა, რომ თვითონ არ განგეხილა და ბრძნულად, მიუდგომელად არ გადაგეწყვიტა. მაგრამ არა მხოლოდ ერთს თვისს ზნეობითს ძალებს სწირავდი შენის სამწყსოის სასარგებლოდ, არამედ მასვე სწირავდი ნივთიერს საშუალებათაც. შენ ცხოვრობდი ნამდვილ ბერულად, ზომიერად და მარტივად და უმეტეს ნაწილს შენთა საშუალებათაგან სწირავდი საქველ-მოქმედო საქმეებზედ. რომელ კეთილ საქმეში არ მიგიღია ცხოველი ზნეობრივი მონაწილეობა და მისთვის არ მიგიცია საკმაო ნივთიერი შემწეობა?! ნახევარის საუკუნის განმავლობაში თვალყურს ადევნებდი საქართველოში სასულიერო წოდების ცხოვრებას და კარგად შეიგნე მისნი ურიცხვნი საჭიროებანი და დაინახე, რომ მის შორის სიღარიბე და შეუწევნელი სიობლე არა ნაკლებ არიან საგრძნობელნი, ვინემ ყოველს სხვა წოდებაში,—და შენის მღვდელ-მთავრული მზრუნველობით დავალებულნი არიან თვისის კეთილმდგომარეობით და კეთილ-წესიერებით ყველა სასულიერო სასწავლებლები იმერეთის ეპარქიისა. შენი სიყვარული საღმრთო ტაძრების შემკულებისადმი გულსმოდგინებით გამონახვიდა ყოველნაირ ღონეს და არ ზოგავდა თვისთა საშუალებათაც მათის გამშვენებისათვის. ჩვენ სიხარულით ვაცნობებდით ქრისტიანობრივის სათნოების მოყვარულებს კიდევ ბევრ რასმეს შენის ცხოვრებიდამ, მაგრამ ნუ თუ შესაძლოა „სიტყვა-მოძღვრებაში“ ერთად განხილულ იქმნეს ასეთი გრძელ ჟამიერი სიცოცხლე?! შევამოკლებთ სიტყვას, მხოლოდ შევნიშნავთ კი, რომ განსვენებული თანამოძმე იყო თვისის სამწყსოსთვის ჭეშმარიტად ხე კეთილ ჩრდილოვან-ფოთლოვანი, მრავალ-ნაყოფიერი და კეთილ-ნაყოფიერი; და აჰა, როდესაც ყოვლად შემმუსრველმან ხელმან სიკვდილისამან მოჰკვეთა ასეთი ხე, ნუ თუ შეუძლიათ მოითმინონ უმწუხაროდ და უცრემლოდ ასეთი დანაკლისი იმათ, რომელნიც 35 წლის განმავლობაში სცხოვრებდნენ ამ ხის ჩრდილის ქვეშე და სჭამდნენ მის მშვენიერს ნაყოფსა?!.

„და დავარდით, ძენო ისრაილისანო, დავარდით პირსა ზედა მამისა თქვენისასა, ტიროდეთ მასზედ და ამბორსუყოფდეთ უკანასკნელისა ამბორის ყოფითა“, ა მ ი ნ.

რუსულითგან ნათარგმნი თბილისის სასულ. სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის მიერ.

შესანიშნავი რეზოლიუციები მღვდელ-მთავართა *)

არხანგელის და ხოლმოგორის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო იოანნიკესათვის ერთ დედათა მონასტრის დებს კონდაკი უთხოვნიათ შეწირულებათა შესაკრებათ, რომ ამ შეკრებილი ფულებით ძვირფასი კანკელი გაეკეთებიათ მონასტრის ეკკლესიაში. ამ თხოვნაზე ყოვლად სამღვდელოს შემდეგი რეზოლიუცია დაუწერია:

„მონასტრები გამშვენებულ უნდა იქმნენ მათში მცხოვრებელთა კეთილი ცხოვრებით, ხოლო რაც შეეხება გარეგან სიმშვენიერეს, დანნი კმაყოფილნი უნდა იყვნენ იმითი, რასაც ღმერთი მისცემს მონასტერში მშრომელთ და მლოცველთ. საჭირო არ არის დიდი ხარჯების გამოგონება, როცა ამ ხარჯებისათვის ფული არ არის და არც შეშვენის მონასტრებში მცხოვრებთ სოფელ-სოფელ სიარული შეწირულებათა შესაკრებად“. ყოვლად სამღვდელო იოანნიკეს უბრძანებია რომ ეს მისი რეზოლიუცია დაებეჭდათ ეპარ. უწყებებში და მასთან შემდეგი სიტყვები დაუმატებია:

„რითი იყვნენ შესანიშნავნი და ან რითი გამოიჩინეს თავი ძველმა მოღვაწეებმა (განდეგილებმა) —ნუ თუ თავიანთი სავანეების და ტაძრების გარეგანი სიმშვენიერით? ზოგი მათგანი ცხოვრებდნენ და ლოცვილობდენ მთებში და გამოქვაბულებში, ხოლო ზოგ მათგანს თუ ქონდა ტაძრები, ისიც გამოქვაბულებში და ან უბრალო ქოხებში. მაგრამ ჭეშმარიტი ქრისტიანები მიდიოდენ ამ მოღვაწეებთან და უფრო ბევრს სწავლობდენ და იძენდენ მათგან, ვინემ დღეინდელ სოფელ-სოფელ ტაძრების გასამშვენებლად შეწირულებათა შესაკრებად მოსიარულე ბერ-მონაზონთაგან. შეწირულებათა შესაკრებელად მოგზაურობა ფრიად მავნებელია მონასტრის ძმათათვის, და განსაკუთრებით მონასტრის დათათვის, რომელთაც უწინდელი კანონდებლობით სრულებით აღკრძალული ჰქონდათ მონასტრიდან სადმე წასვლა. ძველი წინაპარნი მონასტრის ძმათა და დათა ატირდებოდენ, რომ დაენახათ ეხლანდელი ბერ-მონაზონნი სოფელ-სოფელ მოსიარულე შესაკრებელად

*) ამ სათაურით ჩვენ დრო-და-დრო დავბეჭდავთ ხოლმე შესანიშნავ და მეტის მეტად საგულისხმო რეზოლიუციებს და განკარგულებათა ზოგიერთ მღვდელ-მთავართა.

რედაქ.

იმისა, რაიცა უფალმა აღუკრძალა ყველა მოციქულნეთა, მით უმეტეს ბერ-მონაზონთ, როცა რქვა: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი-ცხოვრებისათვის საჭირო „შეგეძინოს თქვენ“ (მათ. 6,33), ე. ი. ეცადეთ კეთილ საქმეს, იშრომეთ, ილოცეთ, და ყოველივე საჭირო ხორციელი ცხოვრებისათვის მოგეევლინებათ თქვენ ზეციური მამისაგან, რომელმაც უწყის, რომ თქვენ ამას საჭიროებთ.

ურჩევ ბერ-მონაზონთ გაუგონონ თავიანთ მწყემსთ და ნუ დაეხეტებიან ქვეყნად, არამედ ილოცვიდენ და შრომობდნენ თავიანთ სავანეებში და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყოველივე საჭირო მიეცემათ მათ, მიეცემათ“.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე,

საუბარი პირველი.

ქრისტეს სარწმუნოებაზედ

არქვთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა, მეუფე შენი. (მათ. 21,5).

ძმანნო ჩემნო საყვარელნო! ეს სიტყვები ეხებიან თქვენს სულიერ მწყემსთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ გამცნოთ თქვენ იგი მეფე, რომელიც მხოლოდ ერთია ღირსი განაგებდეს ჩვენ გონებას ჭეშმარიტებით და გულთა ჩვენთა თავისი მადლით. იესო ქრისტე არის მასწავლებელი, რომელსაც ჩვენ უნდა უსმინოთ; იგია მაგალითი, რომელსაც უნდა მივბაძოთ, იგია ერთად ერთი გზა, რომელსაც მიჰყავს კაცი საუკუნო ცხოვრებისადმი. ყველა ღვთის-მსახურებითი წიგნებს, რომელთაც თქვენ კითხულობთ, ყველა დარიგებათ, რომელთაც თქვენ ისმენთ, ყველა ჩვენ სამსახურს და შრომას აქვს ერთი და იგივე მიზანი რათა თქვენ კეშმარიტად და სისრულით სცნოთ იესო ქრისტე. რა ბედნიერი ვიქნებოდი მე, რომ თქვენზე შემეძლოს ვთქვა იგივე, რასაც წმ. პეტრე მოციქული ამბობს პირველ მოციქულნეთა ზედა: „რომელი (ე. ი. იესო ქრისტე) არა იცოდით და გიყვარსთ, რომელსა იგი აწ არა ხედავთ, და გრწამთ, იხარებდით სიხარულითა გამოუთქმელითა და დიდებითა (ა პეტ. 1, 8). ჩვენ ვალვიარებთ, რომ ვუწყით იესო, რომ გვრწამს იგი, რომ ჩვენ ქრისტიანენი ვართ: მაგრამ განა ასეთები ვართ მართლა! ვისაც

ქრისტეს სარწმუნოება აქვს, იმას უნდა ჭეშმარიტად სწამდეს სახარება, უნდა აზროვნებდეს და სჯიდეს თანახმად ამ სახარების სწავლისა და უნდა სცხოვრებდეს მზგავსად ქრისტესა. ვისაც ქრისტეს სარწმუნოება აქვს, ის უნდა ფიქრობდეს და გრძნობდეს ისე, როგორც ქრისტიანე კაცს შეფერის, უნდა ლაპარაკობდეს კრისტიანულად, ცხოვრებდეს ქრისტიანულად. ეხლა შევჩერდეთ ამ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე; შეველკითხოთ ჩვენს სინდის და პირმიუფერებლად განვიხილოთ: შეგვიძლია თუ არა ჩვენ წმ. პავლე მოციქულთან ერთად ვსთქვათ: „ხოლო რომელ ესე აწ ცხოველ ვარ ხორცითა, სარწმუნოებითა ცხოველ ვარ ძისა ღმრთისათა, რომელმანც შემიყვარა მე და მისცა თავი თვისი ჩემთვის (გალათ. (2,20).“

I

ამ დიდი მოციქულის ეპისტოლეში, რომელიც მიწერილია ფილიპელთადმი, ჩვენ ვნახულობთ ერთ ადგილს, რომელშიაც მოკლედ გამოხატულია მთელი ქრისტიანული ზნეობა. „ძმანო ჩემნო, ამბობს იგი: «ესე ზრახვა იზრახებდენ თქვენ შორის, რომელიც იგი ქრისტე იესოს მიერ» (2,5) ე. ი. თქვენ უნდა გქონდესთ იგივე გონება და გრძნობანი, როგორიც ჰქონდა თვით იესო ქრისტეს. უნდა უცქეროდეთ ბედნიერებას, უბედურებას და ამა ქვეყნის ყოველივე სიამოვნებას იმავე თვალით, რა თვალითაც უცქეროდა მათ თვით ქრისტე; იგივეს უნდა ფიქრობდეთ მათ შესახებ, რასაც ფიქრობდა უფალი ჩვენი, უნდა ვსჯიდეთ ისე, როგორც იგი სჯიდა, ე. ი. ჩვენ უნდა გვქონდეს ქრისტეს მზგავსი გრძნობანი: მაგრამ თუ ჩვენი გონება და აზრი სრულებით წინააღმდეგია ქრისტეს გონებისა და აზრისა, მაშინ, ცხადია, რომ ჩვენ არა გვრწამს ქრისტე. საქმე ის კი არ არის, რომ ქრისტე გვრწამს, არამედ ის, როგორა გვრწამს იგი: მოუნანებელ ცოდვილთა და ეშმაკთაც კი სწამთ ქრისტე; როგორც ჩვენ, იმათაც აგრეთვე უწყიან, რომ ქრისტე არის ძე მღვთისა, რომ იგი განხორციელდა, ევნო და მოკვდა და სხვანი; მაგრამ ვინაიდგან მათი გონება და გრძნობანი სრულიად, წინააღმდეგნი არიან ქრისტესი, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ მათ ქრისტე სწამთ. ყური მიუგდოთ, რას ამბობს წმ. პავლე მოციქული: თუმცა იესო ქრისტე იყო დაუსრულებელი სიმდიდრე (2 კორინთ. 8,9) ვინაიდგან იგი არის უფალი ყოველთა ქმნილებათა, მაგრამ ისურვა დაბადებულიყო, ეცხოვრა და მომკვდარიყო სიღარიბეში: აი სიძულვილი სიმდიდრისადმი და სიყვარული სიღარიბისადმი! თუმცა ქრისტე თანასწორია ღვთისა, თავის მამისა, მაგრამ მან დაიმცირა თავი და მიიღო სახე მონისა, იქამდე მომთმენი იყო, რომ ჯვარზედაც ეცვა: აი სიყვარული მორჩილებისა და წამებისადმი, როცა გძაგს და გაურბიხარ ყოველივე მას, რაც შენში ბადავს ამპარტავნებას, თავმოყვარეობას, ანგარებას და ხორციელ ვნებათა: აი სწორეთ ეს არის გრძნობანი იესო ქრისტესი! დაე, თითოეული ჩვენგანი დაეკითხოს თავისს გულს და შეიტყოს, აქვს თუ არა მას სრულებით წინააღმდეგნი გრძნობანი,

ნაცვლად იმისა, რომ გიყვარდეს სიმდაბლე, ნუ თუ შენ არ ცდილობ, რომ სხვაებზე უფრო აღიმაღლო შენი თავი? ნუ თუ შენ არ გძაგს ყოველივე ის, რაც გამდაბლებს და გამცირებს? და განა აქედგან არ წარმოდგება შენი ურჩობა და შენზე უფროსთადმი უპატივცემულობა, სინტლანქე, სიამაყე, და შენზე უნცროსთადმი შეურაცხება და მეცადინეობა, რომ შენ თანასწორებ შორის თავი გამოიჩინო? სწორეთ აქედგან წარმოდგება შენი მგრძნობელობა, რომელსაც ერთი უბრალო სიტყვა, უბრალო მოქმედება და უბრალო რამე სიბრაზესა ჰგვრის? მე არ ვამბობ, რომ შენ სრულებით დავიწყებული და დამცირებული უნდა იყო ყველასაგან, ანუ სრულიად აღიხოცო დედაბიწის პირისაგან. მე შენ არ გკითხავ: სრული ხარ შენ თუ არა, არამედ გკითხავ: ქრისტიანე ხარ შენ? ესე იგი, უცქერი თუ არა შენ დიდ ადგილებს, დიდ შთამომავლობას, ქებათა და ქვეყნის ყოველივე წარმავალ დიდებას ისე, როგორც კვამლი, რომელიც აფუჭებს მხედველობას, ატკივებს თავს, ურყვნის გონებას და გულს უმეტესად იმათ, რომელნიც ამაებს ეძებენ და ელტვიან?

კმაყოფილი ხარ შენ თუ არა შენი საშუალო შეძლებით, რომელიც შენ მოგვევლინა ღვთის განგებულებით? შენს ამორჩევაზე რომ იყოს საქმე, ხომ უფრო დიდ შეძლებას ისურვებდი? ან შენ რომ ვინმემ დაგამციროს და არაფრად ჩაგაგდოს, ყოველივე ამაებს აიტან თუ არა სიხარულით, ან და მოთმინებით მაინც? ჩათვლი თუ არა ამ დამცირებას ღვთის მოწყალებად და შეევედრები თუ არა ღმერთს მზგავსად მეფე დავითისა: „კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე, რათა ვისწავლნე მე სიმართლენი შენნი (ფსალმ. 118,71)? იცოდე შვილო ჩემო, რომ თუ შენ დამცირება გეზარება, თუ შენ გიყვარს პატივისცემა, დიდება, ქვეყნიური ამაოება, თუ ეძიებ პირში მაქებრებს, თუ შენ სიამოვნებად მიგაჩნია, როცა შენ პატივსა გცემენ კაცნი, შენ აზროვნებ არა ისე, როგორც იესო ქრისტე, შენი გრძნობანი არ ეთანხმებიან ქრისტეს გრძნობათა. შენ არა გრწამს იგი, შენში არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანული სული.

ღვთის განგებამ მოგანიჭა შენ ქონება, შენ კმაყოფილებით ცხოვრებ, არაფერი საჭიროება არა გაქვს; ყოველივე ამაებისათვის შენ უნდა მადლობდე უფალსა. მე რომ გითხრა შენ ისე, როგორც იესო ქრისტემ რქვა სახარებაში მოხსენებულ ყმაწვილს: «წარ ვედ, გაყიდე ყოველივე, რაიცა მაქვს, და მიეც გლახაკთა»; შენ უსათუოდ მომიგებ, რომ მარტო შენ ვერ შესძლებ ასეთ სისრულეს, და ეს მართალიცაა. ამ სახით შენ შეგიძლია დაიფარო შენი ქონება და კანონიერი საშუალებით კიდეც გაადიდო შენი სიმდიდრე. ვაგრამ ჩვენი საუბრის საგანს ეს კი არ შეადგენს, არამედ მე გეკითხები: ნუ თუ შენ აგრეთვე უცქერი შენს სიმდიდრეს, რომლითაც შენ სიამოვნებ, როგორც უცქეროდა მას იესო ქრისტე, რომელმაც მრავალი საყვედური რქვა მდიდრებს? იმავსე ფიქრობ შენ მდიდრებზე, რასაც მათზე ფიქრობდა ქრისტე? პირ იქით ნუ თუ შენ საუმჯობესოდ არ მიგაჩნია მდიდრული ცხოვრება ღარიბულზე? განა შენ სიღარიბე ამა ქვეყანაზე დიდ უბედურებად არ მიგაჩნია? განა შენ შენ სიმდიდრეზე არა ხარ დაიმედებული? განა შენი გული მარტო შენ სიმდიდრეზე არ ფიქრობს? განა შენ გამსჭვალულ ხარ იმ აზრით, რომ ღვთის მადლი უმაღლესია ყოველივე ქვეყნიურ დიდებაზე? ნუ თუ შენ უარსა ჰყოფ ღვთის მადლისათვის ყოველივე სიმდიდრეს და დიდებას? რომ ვინიცობაა, ამ წამში უფალმა მოგთხოვოს შენ მსხვერპლად ყოველივე ისა, რაიცა გაქვს, ნუ თუ შენ ყოველივე ამას აღასრულებ. თუ შენ არა გაქვს ასეთი განზრახულება და სულ სხვას ფიქრობ, მაშინ შენ ჭეშმარიტად არა გრწამს ქრისტე, შენ არა ხარ ჭეშმარიტი ქრისტიანე.

და თქვენ, რომელნიც ცხოვრებთ თქვენის შრომით და ხშირად დიდ ნაკლებულობას ითმენთ, ნუ თუ არა გსურსთ, რომ გამდიდრდეთ? ნუ თუ არ შეგეხარბებათ ისინი, რომელნიც მდიდრები არიან? ბედნიერად მიგაჩნიათ განა თქვენი თავი, როცა ემზგავსებით იესო ქრისტეს, რომელსაც ქვეყნად მყოფობის დროს თავ შესაფარიც არა ჰქონდა და სიყრმის დროს სცხოვრებდა შრომით და დიდ სიღარიბეში? ნუ თუ თქვენ ისე სჯით თქვენი ქონების შესახებ, როგორც სჯიდა თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე? განა, პირიქით, თქვენის ფიქრით დიდ უბედურად არ მიგაჩნიათ თქვენი თავი? და ეს არის მიზეზი, რომ თქვენ მუდამ ესაყვედურებით თქვენს ბედს, პირფერობით და უპატიოსნოდ იქცევით და ამისათვის ხშირად გესმისთ საყვედური გარეშე პირთაგან. თუ თქვენ სამწუხაროდ მიგაჩნიათ ის მდგომარეობა, რომელიც საუმჯობესოდ აღირჩია იესო ქრისტემ და რომელი მდგომარეობითაც თქვენ ღირსი შეიქნებით დაემზგავსოთ მასს, მაშინ თქვენ ჭეშმარიტად არა გრწამსთ იგი, თქვენ არა ხართ ნამდვილი ქრისტიანე.

მართლაც სად არის ჩვენი სარწმუნოება ქრისტესადმი, როცა მწუხარება, წვალება, დევნა და უბედურებანი ჩვენ მიგვაჩნია ჩვენი ცხოვრების მომწამვლელად და ყოველ შემთხვევაში გაურბით მათ მაშინაც კი, როცა თვით ქრისტე გვეუბნება: „ნეტარ იყვნენ მტირალნი. დევნულნი სიმართლისათვის;» თვით სარწმუნოება გვამცნებს ჩვენ, რომ წვალება არის გზა ზეცისადმი, ნიშანი იესო ქრისტეს სიყვარულისა, ნამდვილი ნიშანი ჩვენი ცხოვნებისა და წინდი საუკუნო ცხოვნებისა; ჩვენ ცხადათ ვხედავთ, რომ ყველა წმიდანები მზათ იყვნენ დაეთმინათ ყოველივე წვალება, ისინი პირიქით ეძიებდენ წვალებას და ხარობდენ მწუხარებასა შინა... მოწყალეო ქრისტე! რამდენათ განსხვავებულია ჩვენი აზრი შენ აზრთაგან! ჩვენ გაურბით როგორც დიდ უბედურებას იმას, რაც შენ დიდ ბედნიერებად მიგაჩნია, იმათ, ვინც შენ ნეტარად მიგაჩნია, ჩვენ უბედურებათ ესთვლით. და ნუ თუ ეს არის ჩვენი სარწმუნოება ქრისტესადმი? განა შეიძლება გვაქვნდეს სარწმუნოება ქრისტესი, ხოლო ამა ქვეყნის ყოველივე საგნებზე გვქონდეს სრულებით წინააღმდეგი შეხედულება, ვინემ თვით ქრისტეს? განა ჭეშმარიტია ჩვენი სარწმუნოება, როცა ჩვენ გვძაგს ის, რაიცა უყვარდა ქრისტეს, გაურბივართ მას, რასაც იგი ეძიებდა, ვაქებთ, რასაც იგი აუგებს, პატივსა ვსცემთ მას, რასაც იგი უარსა ჰყოფს; როცა ჩვენი გული და გონება წინააღმდეგია ქრისტეს მცნებისა და როცა ჩვენ ყოველიფერში წინააღმდეგნი ვართ ქრისტესი? არა, ჩვენდა სასირცხოდ უნდა გამოვტყდეთ, რომ უმეტესობას, რომელიც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს, არა აქვს ქრისტიანული გრძნობანი; ამიტომაც არის, რომ ისინი იშვიათად ლაპარაკობენ ქრისტიანულად.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2»
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3»

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მეჭაროვთან; **საჩხერეში**—ყარაიან ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. **ახალსენაკში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მაჯარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1897 წლის «მწყემსი»-ს ხელის მომწერთათვის საჩუქრათ დანიშნულია რედაქციისაგან

გუკრები,

შედგენილი პროფესორის ალ. ხახანაშვილისა და გამოცემული „მწყემსი“-ს რედაქციისაგან.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 12 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირება—4 მანეთი, თბილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში—«წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. земель. банка № 102), ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32), და თვით «ჯეჯილის» redაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).
2. ქუთაისში—ვახ. ბერძენიშვილთან და თომა მთავრიშვილთან
3. ბორჯომი—არ. კალანდაძეთან.
4. ბათუმი—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
5. თელავში—ძ. ცისკარიშვილი ავთიაქში.
6. საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.
7. ელისავეტპოლში—ა. მაქაბელაძესთან.
8. თონეთი—ივ. ჩიბალაიშვილთან.
9. ყვირილაში—არაბიძის წიგნია მაღაზიაში.
10. მიხალოვში—ი. ფანცულაიასთან.

ფოსტის ადრესი: въ Тифлисъ, въ редакцію груз. дѣтскаго жур. «Джеджили». 3—2

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-ვერეთლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოდა 1897 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

რედაქცია ყოველ ლონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან ძრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ელირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო ნომერი სამშაურათ. ხელისძობწერლებს წლის ფული შეუძლიათ გაძოგზავნონ ნაწილ-ნაწილათ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში არწუნისეულ ქარვასლის «ქართულ სახალხო სამკითხველოში» და „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში» და თვით «კვალის» და «ჯეჯილის» რედაქციაში (Артиллер. ул. д. Гамашева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის მოწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: ვ. ჭილაძის, ვ. ბეჟანეიშვილის, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ. ლაღიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში. ბათუმში; მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის საგენტოში. განჯაში: ალ. მიქაბერიძეს.—ფოთში: მიხეილ თურქიას და ი. კოხრეიძეს.—მიხაილოვში: იოსებ ფანცულაიას. თიონეთში: ივ. ჩიბალაიშვილს.—გორში: არ. კალანდაძეს.—ყვირილაში: არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—სახხერეში: ყარ. ჩხეიძეს.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція «КВАЛИ».**

ყველა ყვენი ჟურნალ-გაზეთები ახალ წლისათვის ხელის მოწერის წინეთ ჰპირდებიან გამოცემის გაუმჯობესობას გარეგნივ და შინაარსით, ზოგი კი საჩუქარსაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ხელთ არ არის მისი ასრულება სხვა და სხვა მიზეზების გამო. ჩვენ ვუწყებთ «კვალის» მკითხველებს, რომ რედაქციას მართალია წრეულს დაუგვიანდება პრემიის დარიგება, მაგრამ ყოველ ლონისძიებას იხმარს პირ ნათლათ გამოვიდეს ხელის მომწერლებთა წინაშე.

გაზეთ «კვალის» პროგრამის გაფართოვებაზე უკვე დართულია ნება და ამით გაზეთს უფლება და საშუალება მიეცა, სრული ყოველ დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის მგზავსათ, მსჯელობა იქონიოს როგორც რუსეთისა და საზღვარგარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების დღიური საჭირ-ბოროტო ვარამზედაც.

წელსაც ყველა თანამშრომლებმა აღგვითქვეს თავისი კალმის ნაწარმოების მოწოდება. რაც შეეხება გარეგნივ გაუმჯობესობას, რედაქცია ლონისძიებისამებრ იქცევს ყურადღებას: ჩვენ ვიბარებთ კლიშეებს ყოველთვის ლონდონიდან, პეტერბურგიდან და ახლაც დაბარებული გვაქვს შტუტგარდიდან, ხოლო თბილისში შეუძლებელია ხეირიანი ნახატების დაბეჭდა, რადგან ჩვენი ცხოვრების მკოდნე მხატვრები თითქმის არა გვყავს და ლიტოგრაფიასაც ხშირათ უფუჭდება სურათები.

მომავალ 1897 წ. კვალის ხელის მომწერლებს დაურიგდებათ პრემიათ ისტორიული ალბომი (სურათები ჩვენი გამოჩენილი მეფეებისა, ისტორიულ პირთა, მეველი მონასტრებისა და ციხეების,-აღწერით). 3—2

მიიღება ხელის მოწერა 1897 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

„მოამბე“-ზედ

(IV წ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

| კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვარამდე 4 მან. 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაეთმობა რვა მანეთად წელიწადში. ვისაც რვა მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მ. შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მაისში და აგვისტოში.

რადგან იანვრის ნომერი გამოვა 1-ლ იანვარს, რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ჟურნალის გამოწერის მოყვარეთ დეკემბერშივე დაიკვეთონ, რათა რედაქციამ მოასწროს დროზედ ნომრების გაგზავნა.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის აღრესი: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ». 3—3

„ივერია"

გამოვა 1897 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინათ.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდან, ყოველ-დღე. გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირაუქმეებს.

ფასი:

11 თთვით	. .	9 მ. 60 კ.	6 »	. . .	6 მ. » კ.
11 »	. .	9 » 50 »	5 »	. . .	5 » 50
10 »	. .	8 » 75 »	4 »	. . .	4 » 75
9 »	. .	8 » — »	3 »	. . .	3 » 50
8 »	. .	7 » 25 »	2 »	. . .	2 » 75
7 »	. .	6 » 50 »	1 »	. . .	1 „ 50

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირებს 17 მ.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის აღრესით:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ" თფილისში ხელის მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა № 21. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართველთ თავად აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქ გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარეშე უნდა წარმოგზავნოს 40 კაპ. თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც დაბარებელი აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოთ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1893 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მ. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნონ). ხოლო ვისაც არა ჰსურა იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდან. ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენს მე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდან. 3—3

შინაარსი:

ოფიციალური განყოფილება: უმაღლესი წყალობის წერილი.—სია ქადაგებათა, რომელნიც უნდა წარმოითქვან თორმეტ საუფლო, დიდ დღესასწაულ და კვირა დღეებში ქუთაისის საკრებულო ტაძარში 1897 წ.

სალიტერატურო განყოფილება: მკითხველს.—„მწყემსის" კორრესპონდენცია სოფ. მამათიდგან.—შრომის მოყვარეობის და სამოწყალო სახლის ქუთაისში დაარსების შესახებ.—საქართველოის ძველი დროის თავგადასავალი.—იმერეთის ეპისკ. გაბრიელის ხსოვნას.—შესანიშნავი რეზოლიუციები მღვდელ-მთავართა.

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა** და **ეკეთილ-ზნეობაზე:** საუბარი პირველი, ქრისტეს სარწმუნოებაზე.—შეწირულებანი.

— განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 января 1897 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананових, на Нѣмецкой ул.